ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 თებერვალი 2002 №29 (1551) | ფასი 50 თეთრი


# ლაზუტინას სისხლის ყივილმა სოლტ ლეიკ სიტი გაალღვიძა


AP სოლტ ლეიკ სიტიდან

ლარისა ლაზუტინა

სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე წუხელ დაგეგმილი მორიგ ეფექტურ სანახაობას ფრთა მოსტეხეს: 4X5 კილომეტრზე ქალთა სათხილამურო ესტაფეტის დაწყებამდე ლამის წამებით ადრე რუსეთის ნაკრები შეჯიბრს გამორიდა. ლარისა ლაზუტინას, ვინც ოლიმპიური ვერცხლი ორჯერ უკვე დაიმსახურა, სისხლის წითელი ბურთულების კონცენტრაცია დასაშვებზე მაღალი აღმოუჩინეს და რბოლა აუკრძალეს. რუსებმა შემცვლელი უცებ ვერ მოძებნეს, ამიტომ სასრიალოდ არ დაძრულან, ისე, როგორც უკრაინელები, ოღონდ მალორისთა გამოთიშვის მიზეზი ნაკლებად სავარაუდო სლავური სოლიდარობა იყო თუ სხვა რამ, ჯერ არ იუწყებიან. ურუსო რბოლამ ჩაშალა დიდი სამეულის (რუსეთი, გერმანია, ნორვეგია) ალბათ ამოდსანახავი ბატალია, ხოლო იმ ორმა ნაკრებმა პირველობისთვის მაინც ძალიან იბრძოლა და გამარჯვება მცირე სხვაობით ესტაფეტის ფანატ გერმანელებს დარჩათ. გერმანული სისხლი დომინირებდა სამთოთხილამურობაშიც, ვაჟთა გიგანტურ სლალომზე, სადაც ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცა, რომ ტყუილად როდია წლევანდელი მსოფლიო თასის უპირობო ლიდერი. და კიდევ ერთხელ გერმანელებზე: მათგან მარილიანი ტბის ქალაქში დამსახურებული მედლების ოდენობამ უკვე კარგად გადააჭარბა აქამდე სარეკორდო 29-ს, რაც კალგარის ოლიმპიადიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა და მიმდინარე თამაშები კი ბარე ორ დღეს კიდევ გასტანს.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

რუსები დოპინგზე, გერმანელები პოდიუმზე

# ფრთხილად, ფეხბურთი ამქვეყნიური თამაშია!

UEFA CUP

ბოლო ხანს პსვ „ეინდჰოვენის" ძირითადს გაშინაურებული გოგა გახოკიძე გუშინ მთელი 90 წუთი ცდილობდა ინგლისური „ლიდსის" გატეხვას, მაგრამ ჩვენებურს და მის თანაგუნდელებს არაფერი გამოუვიდათ. ერიკ გერეტსის გუნდს თავი იმითაც შეუძლია დაიმშვიდოს, რომ ვერც სტუმრებმა გაიტანეს. ერთი კია, ჰოლანდიაში უგოლოდ დასრულებული შეხვედრა უეფას თასის მეოთხედფინალში გასვლის უკეთეს შანსს ინგლისელებს უტოვებს – „ელანდ როუდზე" მათი წაქცევა მართლაც ძნელია. იტალიური „ინტერი" კი 28 თებერვალს ათენს ორბურთიანი უპირატესობით ეწვევა. „სან სიროზე" მატჩის დასაწყისში აეკელი ზაგორაკისის გოლს, მილანელებმა სამით უპასუხეს და მეოთხედფინალის კონტურებიც დალანდეს.
მილანელთა ერთ-ერთ ფანს კი ცოტა დააკლდა, ეს ამბავი იმქვეყნად არ წაელო: მესამე გოლისას ნამეტნავი სიხარულისგან გონწართმეული და 15-მეტრიანი მეორე იარუსიდან გადაჩეხილი მძიმედ დაშავდა.
სხვა წყვილებისა კი ის ვთქვათ, რომ გუშინდელი ფრეების მერე, საპასუხო მატჩებში გვარიან შეხლა-შემოხლას უნდა ველოდოთ.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ეინდჰოვენიდან

პსვ — ლიდსი 0:0. ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა (№8) მასპინძელთა კარი ალან სმიტის გოლს გადაარჩინა

# დემეტრაძე ვიკინგებმა დაზაფრეს, საჯაია ავტოქარხანაში მოეწყო

**მოულოდნელად** შერცხვა გიორგი დემეტრაძის „ლოკომოტივი“ „ლა მანგის“ ტურნირზე. ესპანეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი მოსკოველი რკინიგზელები ალმავლობით ჩატარებული საკონტროლო მატჩების შემდეგ ტურნირში ჩაებნენ. მოსკოველებს მეტოქედ ნორვეგიული „ვიკინგი“ ჰყავდათ. ბევრი „ლოკომოტივის“ იოლ გამარჯვებას ელოდა და მატჩის დებიუტიც იმგვარი გამოდგა, კარგს რომ არაფერს უქადდა ნორვეგიელებს.

ეს ქვეჯგუფის მეორე ტურის მატჩი იყო. პირველი შეხვედრა შვედურ „ჰალმსტადთან“ მიკროტრავმის გამო გამოტოვა გიორგი დემეტრაძემ.

„ვიკინგთან“ კი ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში დააყენა სიომინმა და მატჩის დაწყებიდან სამ წუთში მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ქართველს ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ნორვეგიელთა გოლკიპერმა ივარგა. მომდევნო ხუთწუთიან მონაკვეთში, კიდევ სამი რკინიგზელი დარჩა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ იზმაილოვმა, ლოსკოვმა და ობიორამ საგოლე მომენტები გააცუდეს. მერე კი მატჩის სცენარი შეიცვალა და მოსკოველთა უნიათო დაცვის და გამორჩევით მეკარე ზახარჩუკის შეცდომების წყალობით ნორვეგიელებმა საცოდავ დღეში ჩაყარეს სიომინის ბიჭები. 48-ე წუთზე „ვიკინგი“ 4:0-ს იგებდა. დემეტრაძის შეცვლამდე (75-ე წუთი) კი ანგარიში 5:0 იყო. ქართველმა გოლის გატანა ამ მატჩშიც შეძლო, მაგრამ არბიტრი თანამსაჯს არ დაეთანხმა და თამაშგარე აღნიშნა. შეხვედრის ბოლო წუთზე ვუჩიჩევიჩმა შორეული დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა.

ამ მატჩის შემდეგ „ლოკომოტივი“ ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა და პრაქტიკულად დაკარგა „ლა მანგის თასის“ მოპოვების შანსი.

„ვიკინგი“ რომ რკინიგზელებს გვემდა, ბელგიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ მოსკოვის „ტორპედოს“ იქაური უმაღლესლიგელი „ბეერსხოტი“ ჰყავდა გამოჭერილი. ავტოქარხნელებმა 4:0 გაიმარჯვეს და ამაში თავისი წილი ედიკ საჯაიამაც დაიდო. იგი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე და უშეცდომოდაც გაისარჯა.

სხვათა შორის, „ტორპედომ“ პირველმა წარადგინა საჩემპიონატო განაცხადი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციაში. 25-კაციან სიაში ედიკ საჯაიაც არის.

**ბაატა ძვანტალიანი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიკ საჯაია (მარჯვნივ) ახალ სეზონსაც მოსკოვის „ტორპედოში“ დაიწყებს



REUTERS

პსვ ეინდჰოვენი — ლიდს იუნაიტედი. სტუმარი რიო ფერდინანდი და მასპინძელი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (№8)


## ყურადღება!

საფეხბურთო კლუბი „თბილისი 2000“ აცხადებს 1986-1995 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

კლუბში ფუნქციონირებს ხელოვნური ბალახით გაკეთებული ევროპული სტანდარტის მინი, აგრეთვე დიდი და გარე მოედნები.

ბავშვებს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. ვარჯიშები ტარდება ქართველი და ევროპელი სპეციალისტების ერთობლივი მეთოდიკით.

მიღება წარმოებს ყოველდღე (კვირის გარდა) 11-დან 20 საათამდე.

მისამართი: ისნის რ-ნი, ბოჭორმის ქ. 18. მეტრო „300 არაგველი“-ს მიმდებარე ტერიტორია, ყოფილი სკა-ს სტადიონი.

ტელ: 74-61-65, 94-12-21

საფეხბურთო კლუბი „თბილისი 2000“-ის ადმინისტრაცია


## უეფას თასი. მერვედფინალი
### პირველი მატჩები. გუშინ

UEFA CUP

**პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) 0:0 **ლიდს იუნაიტედი** (ინგლისი)
პსვ ეინდჰოვენი: ლოდევეიქსი, ბოგელუნდი, ოიერი, ჰოფლანდი (ნიკოფოროვი 67), ბუმა, ვან ბომელი, ფოგელი, რომედალი, მახოჭიძე, ბრუგინკი (დე იონგი 35), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (კეჟმანი 60)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ლიდს იუნაიტედი: მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, დაკური, ბაკე, კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
31 000 მაყურებელი

**ლიონი** (საფრანგეთი) 1:1 **ლიბერეცი** (ჩეხეთი)
0:1 სტაინერი (15პ), 1:1 გოვუ (88)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე (დელმოტი 70), ლინარესი (ლეგლი 55), ფოე, ჟუნინიო პერნამბუკანო, კარიერი, ს. ანდერსონი, ლუინდულა (გოვუ 74)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ლიბერეცი: კინსკი, პილნი, ლუკაში, ჰოლენაკი, იანუ, ლანგერი, იოჰანა, კოლუშეკი, ზბონჩაკი (იუნი 71), ნეზმარი (გიანი 63), სტაინერი
მწვრთნელი: ლადისლავ იაკორპილი
გაფრთხილება: პილნი
მსაჯი: ფრანკ დე ფლიკერი (ბელგია)
20 000 მაყურებელი

**ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) 0:0 **პარმა** (იტალია)
ჰაპოელი: ელიმელეხი, ანტები, გერშონი, ა. დომბი, ბაჩარი, აბუქსისი, ჰალმაი, ონიშჩენკო (ლუზი 56), პიშონტი, კლეშჩენკო (ტუამაპი 78), ბალილი (ოსტერცი 66)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
პარმა: ფრეი, ბენარივო, სენსინი, ჟუტუ, სარტორი (მიკუ 33), გურენკო (აპია 84), ჟუნიორი, ბოლანო, ნაკატა, ბონაცოლი (დი ვაიო 63), მარკიონი
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: დომბი, ნაკატა, ბენარივო, აბუქსისი, ელიმელეხი
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
17 000 მაყურებელი

**ლილი** (საფრანგეთი) 1:1 **დორტმუნდი** (გერმანია)
0:1 ევერტონი (67), 1:1 ბასირი (74)
ლილი: ვიმბე, სიგანი, დელპიერი, ეკერი, ფაჰმი, მიხალოვსკი, ს. ნდიაე, ბაკარი, ბასირი (ოლუფადე 75), ბრუნელი (ბრუნო შეირუ 80), სტერიოვსკი (შმიცი 86)
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ევანილსონი, როიტერი, ჰაინრიხი (ოლისე 25), დედე, რიკენი (ო. ადო 46), ევერტონი (სტევიჩი 87), როსიცკი, ამოროზო
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბრუნელი, ფაჰმი, ევანილსონი, სიგანი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
17 000 მაყურებელი

**ინტერი** (იტალია) 3:1 **აეკ** (საბერძნეთი)
0:1 ზაგორაკისი (8), 1:1 ხ. ძანეტი (14), 2:1 კალონი (37), 3:1 ვენტოლა (56)
ინტერი: ტოლდო, შიმიჩი, მატერაცი, კორდობა, ს. კონსეისაუ, ხ. ძანეტი, კ. ძანეტი, ზეედორფი (ფარინოსი 69), კალონი, ვიერი (ვენტოლა 46), რეკობა
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
აეკ: ხოფტისი; გამარა, კაპსისი, გეორგეასი, კასაპისი (მ. პეტკოვი 22), ლასერდა (ს. კონსტანტინიდისი 64), ზიკოსი, ზაგორაკისი, ცარტასი, მალადენისი (ივიჩი 52), ლაკისი
მწვრთნელი: ფერნანდო კოსტა სანტოსი
გაფრთხილება: ზაგორაკისი, კ. ძანეტი
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
14 030 მაყურებელი

**გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) 1:1 **ფეიენოორდი** (ჰოლანდია)
0:1 ონო (72), 1:1 ფერგიუსონი (81პ)
გლაზგო რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ამორუზო, ვიდმარი, ნუმანი, კონტერმანი, ფერგიუსონი, ჰიუზი (ლატაპი 81), კანიჯა, ფლო (მოლსი 58), ლოვენკრანდსი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
ფეიენოორდი: ზუტებიერი, რზასა, პაუვე, ემერტონი, ლოოვენსი, ბოსველტი, კალუ (ვან პერსი 57), ვან ვონდერენი, ვან ჰოიდონკი, ტომასონი, ონო
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: რზასა, ვან ჰოიდონკი, ლოოვენსი, რიკსენი, ტომასონი
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)
49 041 მაყურებელი

## პორტუგალია
### თასის ნახევარფინალი
**ბრაგა 1:3 ლეიქსოეში (!!)**

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი
**გურამ პეტრიაშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილს მამის
**გურამ პეტრიაშვილის**
გარდაცვალების გამო

ზესტაფონის საფეხბურთო კლუბი „მეტალურგი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კლუბის აღზრდილი, თბილისის დინამოს ვეტერანი, 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი
**გურამ პეტრიაშვილი**
და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი
**გურამ პეტრიაშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი თბილისის „ლოკომოტივი“ სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილს მამის
**გურამ პეტრიაშვილის**
გარდაცვალების გამო

# ხორვატი ივო სიძე-ცოლისძმით უტევს

საკონტროლო მატჩი
ეროვნული

**დინამო 2:0 სიონი**

1:0, 2:0 ბურდული (16, 90)
**დინამო:** ზოიძე (მამალაძე), ვაშაკიძე (ჩივაძე), შაშიაშვილი, კარლოსი (სვანაძე), მანწკავა, ამისულაშვილი, შავგულიძე (ა. სახვაძე), ბურდული, დარასელია (მიკუჩაძე), ანჩაბაძე (ლაკიჩი), გ. ვ. მიქაძე (ბობოხიძე)
**სიონი:** ვოლკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, ბურნაძე (მაკიაშვილი), კარიაული, მოსეშვილი (ჩაგელიშვილი), ნინუა (ბ. შენგელია), ისიანი, ხუჭუა, გაბისკირია, გიორგი ქორიძე (კ. გოდერძიშვილი)
სათადარიგონი: დალაქიშვილი, მინაშვილი, სვანიძე
**გაფრთხილება:** მანწკავა, ანჩაბაძე, ისიანი, გოდერძიშვილი, სიდამონიძე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ლ. სილაგაძე, ლ. მიქელაძე

**გუშინ** „ეროვნულზე“ პირველი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო უცხოეთიდან მობრუნებულმა „დინამომ“. ჟურნალისტების, რამდენიმე ქართველი მწვრთნელისა და ასიოდ ქომაგის თვალწინ ათგზის ჩემპიონს აქამდე უნახავი და გასაოცარი არაფერი ჩაუდენია. როგორც აქამდე, არც გუშინ გასჭირვებიათ ბოლნისელთა დამარცხება. ლადო ბურდულის მიერ ვოლკოვის კარში გატანილმა ორმა თერთმეტმეტრიანმა სრულად ასახა მასპინძლის უპირატესობა.

ივო შუშაკის დამოძღვრილი „დინამო“ ცდილობს, სწრაფი, შემტევი ფეხბურთი ითამაშოს. ეტყობა, ხორვატი მწვრთნელი უპირატესობას სამკაციან დაცვას ანიჭებს. ვაშაკიძე და ამისულაშვილი კაცზე თამაშობენ, შაშიაშვილი კი თანაგუნდელებს აზღვევს. ხუთი ნახევარმცველიდან ორი, შავგულიძე და ბრაზილიელი კარლოსი ფლანგებს აკონტროლებენ. მანწკავა საყრდენია, ხოლო სიძე-ცოლისძმა, ანჩაბაძე და დარასელია, „დინამოს“ შეტევებს წარმართავენ. მეტოქის იერიშისას ორი გამთამაშებლიდან ერთი საყრდენად გადაიქცევა. გუშინ ამ მისიას უფრო ხშირად ანჩაბაძე ასრულებდა.

თავდასხმაში შუშაკმა მიქაძე და ბურდული გაამწესა, ოღონდ ბურდული ოდნავ უკანდახეული ფორვარდი გახლდათ და შუა ხაზსაც აქტიურად ეხმარებოდა.

მყვირალა ჰოლანდიელი ჯერაც უნდა გახსოვდეთ. ჰოდა, იოჰან ბოსკამპს მთლად ვერ შეედრება, მაგრამ ყვირილი შუშაკსაც გვარიანი სცოდნია. გუშინ ამხანაგური თამაში კი იყო, მაგრამ რამდენჯერმე ისე შეუძახა მწვრთნელმა დინამოელებს, რომ ჰოლანდიელი გაგვახსენა.

შუშაკს დინამოელების უყურადღებობა ახელებდა. მეტოქის არც ერთი ფეხბურთელი უმეთვალყურეოდ, ნაკლები წუნი თამაშისას და დაცვიდან თავდასხმაში სწრაფად გადასვლა — ჯერჯერობით ასეთია ხორვატის საფეხბურთო ფილოსოფია.

დინამოელთა მეკარისა და დაცვის მზადყოფნაზე რა მოგახსენოთ, საქმე თითქმის არც ჰქონიათ. შუახაზელებიდან კი საყრდენ მანწკავას და გიორგი ანჩაბაძეს გამოვარჩევდით. როგორც ფეხბურთელი, აშკარად გაზრდილა მანწკავა, ხოლო ანჩაბაძე კარგა ხანია, დაუღალავი და მსუბუქი არ გვინახავს. კარგ ფორმაშია ლადო ბურდული, რომელმაც თუ დაუზარებლად იშრომა, სრულყოფილი ფეხბურთელი დადგება.

„დინამოზე“ საუბარი მისი ლეგიონერებით დავასრულოთ. ბრაზილიელი კარლოსი ის მოთამაშეა, რომელსაც, ალბათ, დღევანდელ „დინამოში“ ვერავინ წაართმევს მარჯვენა ფლანგს, ხოლო იუგოსლავიელი ლაკიჩი აშკარად მოუმზადებელია და მის შესაძლებლობებზე გუშინდელი თამაშის მიხედვით, ვერაფერს ვიტყვით.

...წააგო „სიონმა“. არც არავის გაჰკვირვებია. ბოლნისელებს „ეროვნულზე“, „დინამოსთან“ ქულაც სანატრელი აქვთ. ასეთი ტრადიცია ჩამოყალიბდა და არა გვგონია, წლეულს დაირღვეს.

სერიოზული გუნდი შეუკრებია მახარაძეს, მაგრამ აშკარაა, „სიონს“ ჯერაც ვერ მიუგნია თავისი თამაშისთვის. ბურნაძე, გაბისკირია და ქორიძე კი აშკარად გააძლიერებენ ექვსეულისთვის მებრძოლ ბოლნისურ გუნდს.

**მამუკა ქვანტალიანი**



გიორგი ანჩაბაძე (მარჯვნივ) შუშაკის „დინამოშიც“ გამორჩეულია



ივო შუშაკის ხელმძღვანელობით „დინამომ“ გუშინ პირველად იბურთავა ეროვნულ სტადიონზე. ცხადია, დასკვნების გამოტანა ჯერ ადრეა, თუმცა [illegible]-ცები უკვე გვენიშნა. ასეა თუ ისე, შუშაკის ძალა და მარიფათი გუნდს მეცამეტე ეროვნულის განახლებისას დაეტყობა.

„სიონთან“ ნამატჩევს კი დინამოელთა ხორვატ დამრიგებელს გასახდელიდან გამოსულს დაველაპარაკეთ. ივო შუშაკმა „სარბიელის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა.

# შუშაკური ჩივილი

## გვჭირდება მეკარე და ფეხბურთელები

### ლადო მწამს, ჩემპიონობა მაკვირვებს

**— საშუასეზონო შეკრების ნახევარი გუნდმა თქვენი ხელმძღვანელობით გაიარა. კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი ეტაპით?**

— დღევანდელი მატჩი შეკრების უკანასკნელი თამაში იყო, რადგან უახლოესი შეხვედრა განახლებულ ჩემპიონატში ერთ კვირაში გვიწევს. შეკრების შემდეგ, ცხადია, უკვე ვიცი, რა პრობლემებია გუნდში. მაგალითად, გვიჭირს საგოლე მომენტების რეალიზაცია, აგრეთვე კარში დარტყმა და რაც ყველაზე მთავარია, არა გვყავს საკმარისი მოთამაშეები. ფეხბურთელები უნდა მოვძებნოთ, რადგან ყოველი მატჩისთვის 18-20 სათანადოდ მომზადებული მოთამაშეა საჭირო.

**— რა სტილის ფეხბურთს ითამაშებს თქვენი გაწვრთნილი „დინამო“?**

— ჩვენ ის სტილი გვაქვს, რომლითაც გვიწევს თამაში. არ გვყავს ბევრი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ უფრო მეტად კომბინაციური ფეხბურთი ვაჩვენოთ. ლაკიჩი კი მოვიწვიეთ, მაგრამ კიდევ გვჭირდება ერთი-ორი ფეხბურთელი მაინც, რადგან გუნდში დღეს შეკრებილი მოთამაშეები საკმარისი არ არის. პრობლემა გვაქვს მეკარესთან დაკავშირებითაც.

**— სათამაშო რგოლების მიხედვით როგორ შეაფასებთ გუნდს?**

— მოედნის ცენტრში თამაში უკეთ გამოგვდის, თუმც, ასე ვთქვათ, ბურთთან მაინც გვაქვს პრობლემები. მსურს, ფეხბურთელები უფრო ხშირად იყვნენ ბურთთან და უფრო სწრაფად ითამაშონ.

**— ამ სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ? თუ „დინამო“ ჩემპიონი ვერ გახდება, ეს წარუმატებლობა იქნება პირადად თქვენთვის?**

— უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ „დინამო“ ახლა მეექვსე ადგილზეა. პირველ რიგში ზეექვსეულში უნდა მოვხვდეთ — ჩემპიონობა კი არა, ჯერ ეს გვაქვს დაგეგმილი.

**— იმიტომ, რომ საჭირო ფეხბურთელები არ გყავთ?**

— რა თქმა უნდა, გვჭირდება კარგი ფეხბურთელები, მაგრამ იმ მოთამაშეებით, რომლებიც ახლა გვყავს უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე გუნდი აქამდე თამაშობდა.

**— „დინამოდან“ ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ლადო ბურდული თამაშობს. რა შეგიძლიათ თქვათ ამ ფეხბურთელზე?**

— ლადო დიდი პოტენციალის ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ ის არ არის, რაც შეუძლია, რომ იყოს. მჯერა, ერთ წელიწადში ბურდული ევროპული დონის მოთამაშე გახდება.

**დავით თავართქილაძე**

# თავაზიანი შავი კარლო

## ბრაზილიელს საქართველოში რიო და კარნავალი ენატრება

**კარლოს ალბერტო და როშა,** ანუ უბრალოდ კარლოსი, თბილისის „დინამოს“ ახალშენაძენი ბრაზილიელი ფეხბურთელია. მოედანზე ფუტკარივით მშრომელი და საქმის მკეთებელი ჩანს. თანაგუნდელებმა ჩვენებურად კარლო შეარქვეს. ეტყობა, მათ უკვე დაუმეგობრდა.

ერთი კარგი თვისება აქვს ბრაზილიელს — მზადაა, ჟურნალისტებთან დაუღალავად ისაუბროს. თხოვნაც არ უნდა, როგორც კი შეამჩნევს მასთან გასაუბრების მოსურნეს, დიდხანს არ ალოდინებს. გამარჯობათ, აქეთ შეგეხმიანებათ და გაღიმებული შეკითხვების მოლოდინშია.

მას ახსოვს თბილისი — ოთხი წლის წინ ვიყავი აქ პირველად. ინტერტოტოს გათამაშებაში თქვენებურ გუნდს ვძლიეთ. თუ არ ვცდები, 2:0. სამწუხაროდ, მაშინ თბილისისთვის თვალის შევლება ვერ მოვახერხე. ახლაც, ორიოდ დღის ჩამოსული ვარ და საწვრთნელ ბაზას თითქმის არც გავცდენილვარ, ასე რომ, თქვენს ქალაქზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთო.

კარლოსს ოთხი წლის წინანდელი თამაშიდან ანგარიში ძლივს ახსოვს და ის საიდან ეხსომება, თემურ მახარაძის გაწვრთნილ გუნდს მეორედ რომ დაუპირისპირდა. მაშინდელი „მერანის“ თავკაცი ახლა ხომ ბოლნისელებს მოძღვრავს. ანგარიში კი გუშინაც 2:0 იყო ბრაზილიელის სასარგებლოდ.

...მოსკოვის „ტორპედო“, ტულის „არსენალი“ და კარლოსი ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა. „დინამოში“ გამოჩენამდე მისი ბოლო ბრაზილიური კლუბი ალაგუანოს „კორინთიანსი“ იყო.

„ჟუნინიო პაულისტასთან მითამაშია და კარგადაც ვიცნობ. რეალელ კარლოსსაც რამდენჯერმე შევხმიანებივარ, თუმც ჩვენს ურთიერთობას ახლობლურსაც ვერ დავარქმევ. რამდენიმე ბრაზილიელ ვარსკვლავთან ნაცნობობითაც შემიძლია თავი მოვიწონო“.

კარლოსს არ დაუმალავს, რომ მშობლიური მხარე ენატრება. ისიც გაგვიმხილა, „დინამოსთან“ ოფლის ღვრას რიოში სამბა და კარნავალი სჯობდაო, მაგრამ გართობასა და დროსტარებაში ფულს არავინ იძლევა და კარლოსი, ანუ კარლო, დღეს თბილისშია.



„დინამოს“ ბრაზილიელი კარლოსი

ის ნამდვილად არ გახლავთ ვარსკვლავი. „ეროვნულზე“ მასზე უკეთესი მარჯვენაფლანგელიც არაერთი გვინახავს, მაგრამ დღევანდელი „დინამოსთვის“ აშკარად საჭირო მოთამაშეა.

კარლოსი თანახმა იყო, ჩვენთან თუნდაც რამდენიმე საათს ესაუბრა, მაგრამ ორ წუთში ხელიდან გამოგვაცალეს, ავტობუსში გელიანო. კარლოსთან ვრცელი საუბარიც სამერმისოდ გადაიდო. ნაცნობობისთვის კი, ალბათ, ესეც კმარა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ლაკიჩი ის კაცია, ვინც დინამო ირჩია

**ბრაზილიელ** კარლოსთან ერთად გუშინ „ეროვნულზე“ 26 წლის იუგოსლავიელმა ოგნიენ ლაკიჩმაც ითამაშა. „დინამოს“ ხორვატმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა სერბი მეორე ტაიმში შეუშვა მინდორზე.

ლაკიჩი, სანამ თამაშის საშუალება მიეცემოდა, შესვენებისას ჩვენი ეროვნული გუნდის მეკარე დავით გვარამაძემაც მოიკითხა, მეგობრულად ხელი გადახვია და სამარაში გატარებული დრო გაახსენა — როცა გვარამაძე „კრილია სოვეტოვში“ იყო, ოგნიენ ლაკიჩიც მისი თანაგუნდელი გახლდათ.

26 წლის ნახევარმცველმა „სარბიელს“ „სიონთან“ ნამატჩევს უთხრა:

— ბოლოს სამარაში, „კრილია სოვეტოვში“ ვიყავი. მანამდე იუგოსლავიის ჩემპიონატში: „ბეჩეისა“ და კულას „ჰაიდუკში“ ვთამაშობდი. „კრილიასთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და ჩემმა მენეჯერმაც „დინამოს“ ვარიანტი შემომთავაზა. „დინამოს“ კუნძულ კვიპროსზე შევუერთდი.

**— მოგწონთ „დინამო“, დარჩებით?**

— ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე კი ძალიან მინდა, „დინამოში“ ჩემი სიტყვა ვთქვა. კარგი ბიჭები არიან, მეგობრული გუნდია.

**— კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

— ჯერ არა, მაგრამ იმედი მაქვს, მალე შემომთავაზებენ.

**— ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობას თქვენს პირობებსაც წაუყენებთ...**

— ცხადია, თუმც ეს ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარია, ფეხბურთი ვითამაშო და „დინამოს“ ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო.

**გიორგი ვაჩნაძე**



ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. A ჯგუფი

# გააჩერე ყბები

**ნანტი 1:1 მანჩესტერი**

1:0 მოლდოვანი (9), 1:1 ვან ნისტელროი (90პ)
ნანტი: ლანდრო, არმანი, ფაბრი, იეპესი, სეტო, კუინტი (ატუბა 79), ბერსონი, სავინო, ზიანი, ვაირუა (და როშა 62), მოლდოვანი (ანდრე 77)
მწვრთნელი: ანხელ მარკოსი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი, ფ. ნევილი (ფორლანი 79), კინი, ბექჰემი, სქოულზი, ვერონი (სოლსკიაერი 64), გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: იეპესი, კინი, იეპესი
გაძევება: იეპესი (90)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
35 000 მაყურებელი

**კიროს ვასარასის** სასტვენის ხმა ჯერაც ჰაერში ტრიალებდა, როცა მანჩესტერელთა კარის ბადე ბურთს გაეცნო. რაღაც სპონტანურად შექმნილი მომენტის შემდეგ ბურთი აქეთ-იქით მიაწყდა, მერე დევიდ ბექჰემის ფეხიდან ვიორელ მოლდოვანს ჩაბარდა და ტრიბუნებზე მწვანე-ყვითელი ფერები აშრიალდა. ვაჰ, ხუმრობა საქმე ხომ არაა, ყველაფრისწამლეკავ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ასე სწრაფად დაწინაურდე. მერე რა, რომ „ნანტს“ იქამდე ორივე სალიგო მატჩი წაეგო, მოგებით ხომ შანსს გაიცოცხლებდა.

შანსი კი გაცოცხლდა, მაგრამ მასთან ერთად მძვინვარე მეტოქეც გააფთრდა. და იწყო „ნანტის“ დაცვის რღვევა შმაგმა რუუდ ვან ნისტელროიმ. მისდგა და ბჭენი უმტვრია.

არ ნებდებოდა მუშკეტერი, ფრანგთა კარის დარაჯი მიშელ ლანდრო. თუ კი სადმე რამე ესწავლა, სულ ამ შეხვედრაში დახარჯა. გაუვალ ზღუდედ იქცა პრემიერლიგის ყოჩისთვის. აბა, აქედან, აბა, იქიდან, ხან ბექჰემმა გააშანშალა პასი, ხანაც ვერონმა, მაგრამ ჰოლანდიელის დაკრულზე ლანდრო მაინც არ აცეკვდა.

მანჩესტერელთა დაჟინებული შეტევებისას მასპინძლებიც გამონახავდნენ დროდადრო ღრიჭოებს მიმხდურთა კარის დარაჯის შესაწუხებლად. მარამა ვაირუამ, ვიორელ მოლდოვანმა და მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ფრედერიკ და როშამ გვარიანად შეუჩიჩხინეს ბარტეზს. მოკლესახელოიან მაისურაში გამოწყობილმა ფაბიენმა, ლანდროზე ლონდრე ხომ არ გგონივართო, რამდენჯერმე აშკარად იხსნა გუნდი გოლისგან.

ბარტეზზე თავშივე უნდა მეთქვა, მაგრამ მთლად გვიანი არ უნდა იყოს. სანამ ბარტეზი გოლს



REUTERS

ბოავიშტა — ბაიერნი. პორტუგალი პაულუ ტურა იენს იერემისს წამოაჯდა

გაუშვებდა, იგი მოხეტიალე ბურთის მოძრაობის ტრაექტორიის გამოცნობას ცდილობდა. წინაც გამოვიდა, მაგრამ ბურთი კარში მაინც გაეპარა. ამ მომენტში ფაბიენი იმ გლეხს წააგავდა, რომელიც ქათმის მიმწყვდევას ცდილობს, ფრინველი კი უსხლტება.

მეორე ნახევრის მიწურულს ალექს ფერგიუსონმა ყბებში სალეჭი რეზინის ბრუნვას უმატა, მისმა გუნდმა კი შეტევის ტემპს. ვერონს სოლსკიაერი ჩაუნაცვლა, ხოლო ფილ ნევილს დიეგო ფორლანი. აქედან მოყოლებული, „ნანტი“ გირაგში მოჭყლიტეს და ფორლან-სქოულზის ორსვლიანი კომბინაცია მარიო იეპესის ხელით შეჩერდა.

მართლაც არქიმეგოლისეული ნერვთა ბადე ჰქონია რუუდ ვან ნისტელროის; ლანდროს პენალტიდან გაუტანა, თუმცა მეკარემაც გამოუცნო კუთხე. ფერგიუსონის ყბები დაცხრა და ქულებიც თანაბრად გატყდა.

ალექს ფერგიუსონი: „სწრაფად გაშვებულმა გოლმა დაგვაბნია, მაგრამ შედეგითაც და გუნდის თამაშითაც კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა შეძლეს ძალების გამონახვა და ვფიქრობ, ქულაც დამსახურებულად მიგვაქვს“.

**ბოავიშტა 0:0 ბაიერნი**

ბოავიშტა: რიკარდუ, ნუნუ ფრეშაუ, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, მარიუ სანჩესი (ალეშანდრე 70), ფერნანდუ ჟორჟე სილვა, სერჟინიუ (დუდა 54), მარსიუ სანტუში (ელპიდიუ სილვა 57), მარტელინიუ
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ფინკი, იერემისი, შოლი (ფიულნერი 80), ეფენბერგი, ელბერი (პიზარო 70), სანტა კრუზი (იანკერი 89)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ეფენბერგი, იერემისი, ფერნანდუ პაულუ ტურა
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
11 000 მაყურებელი

**ერთნი** იტყვიან, რა გახდა ეს „ბოავიშტა“ ასეთი მოუნელებელიო, მაგრამ ვინც ამ გუნდის თამაშს მახვილი თვალით დაკვირვებია, შეამჩნევდა: ჟაიმე პაშეკუს მოწაფენი გამუდმებით უბრახუნებენ ნებისმიერი მეტოქის კარისკენ და უმეტეს შემთხვევაში, ზუსტად ჩარჩოში. კიდევ ერთი, ბოავიშტელები ძალიან კარგად თამაშობენ თავით. გაიხსენეთ, თვით „ლივერპულსაც“ კი თავურით გაუტანეს.

მოკლედ, არც „ბაიერნს“ ელოდა გასეირნება პორტუში და ვერც გაისერნა. ჭადრაკის დაფის ფორმიანებმა უმალ რახარუხი აუტეხეს ოლივერ კანის კარს, რომლის ხელთათმანებსაც ბურთი ხშირად ეხუტებოდა. დროდადრო მიუნხელებიც აჩენდნენ ბრჭყალებს, მაგრამ არცთუ ისე მრისხანედ.

ერთ ეპიზოდში სამუელ კუფურს ბოავიშტელი მცველის თავი ისე მოხვდა თავ-ყბაში, რომ მოსულიერებაც დასჭირდა.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტი კი სანტა კრუზს ჰქონდა, როცა მატჩის მიწურულს მცველთა შორის გაძვრა, მაგრამ დარტყმა დააგვიანა. მეკარემ კი დაასწრო და ბურთი აწაპნა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. B ჯგუფი

# ამბავი რომაელთა ფრანგული სიჩუქრისა

**ბარსელონა 1:1 რომა**

0:1 პანუჩი (58), 1:1 კლუივერტი (82)
ბარსელონა: რეინა, პუიოლი, დე ბური, კრისტენვალი, სერხი (ხავი 75), კოკუ, მოტა (როჩემბაკი 67), ლუის ენრიკე, სავიოლა (ოვერმარსი 57), რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კაფუ, კანდელა, ლიმა (გიგუ 75), ტომაზი, ემერსონი, ტოტი (დელვეკიო 81), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: სამუელი, რივალდო, პანუჩი
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
85 000 მაყურებელი

**დამთავრებამდე** რვა წუთით ადრე პატრიკ კლუივერტის გატანილმა ბურთმა „ბარსელონა“ წაგებას გადაარჩინა. კატალონიელები კვლავაც ცხრილის სათავეში დარჩნენ და უშუალო კონკურენტებს ორი ქულით უსწრებენ.

რომაელებმა კი „კამპ ნოუზე“ ჩვეულად ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშეს. მათი მწვრთნელი ფაბიო კაპელო ჯერ კიდევ შემოდგომაზე ამბობდა, ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა წლევანდელ სეზონში ჩვენთვის პრიორიტეტულიაო და აკი რომაელები მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებენ თამაშს და თასის მოპოვების ფავორიტთაგანიც არიან. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბრეშასთან“ ფრანჩესკო ტოტი სათადარიგოთა სკამზე დატოვეს, უთამაშებლობის სერიოზული მიზეზი არ ყოფილა, ჩანს, „ბარსასთან“ მატჩისთვის დაასვენეს.

„ბარსელონა“ კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის ფავორიტია, ამიტომ მათი „კამპ ნოუზე“ შებმა ამ კვირის ლიგაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებს ეპყრათ, თუმცა სტუმრები ოსტატურად იცავდნენ თავს და უნარიანად კონტრუტევდნენ. დასაწყისშივე გაბრიელ ბატისტუტამ სახიფათო ჯარიმა დაარტყა, მაგრამ ბურთმა ძელთან ახლოს ჩაიფრინა, მალევე უკვე მასპინძელმა სერხიმ შეაწუხა რომაელები, მერე ტოტიმ ვერ ივარგა, მე-16 წუთზე კი პირველი ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტი შეიქმნა: რივალდომ კუთხური ჩააწოდა, რასაც კატალონიელთა ჭაბუკმა ბრაზილიელმა მოტამ ძლიერი დარტყმა მიაყოლა, შედეგად ბურთი თავისუფალ სავიოლას მიუვიდა, მაგრამ არგენტინელმა ახლოდან ვერ გაიტანა.

მეორე ნახევარი კი „რომას“ შეტევებით დაიწყო და აკი დაწინაურდნენ კიდეც. კლუივერტთან ბრძოლისას ტოტიმ ჯარიმის უფლება მოიპოვა, კანდელამ საჯარიმოში ჩააწოდა და ყოფილმა რეალელმა კრისტიან პანუჩიმ სადღაც პენალტის სიშორიდან შეაგდო.

მერე რაც მოხდებოდა, აბა, ვინ არ იცის. „ბარსელონა“ უფრო და უფრო მიაწვა სტუმრებს. რივალდომ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავისი ოსტატობა, მაგრამ ვალში მას არც სტუმართა მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი დარჩა და რომაელებმაც შვებით ამოისუნთქეს. ამ დროს კაპელომ საინტერესო შეცვლა გააკეთა, ტოტის მაგიერ მინდორზე მარკო დელ ვეკიო შეუშვა და ამით კატალონიელებს აგრძნობინა, ყრუ დაცვაში ჩაჯდომას სულაც არ ვაპირებო, მაგრამ „ბარსამ“ ლამის მაშინვე გაათანაბრა. თავისსავე ნახევარზე რომაელთა ფრანგმა მცველმა კანდელამ უხეში შეცდომა დაუშვა, პუიოლს ბურთი წაართმევინა, ამანაც თავისუფალი კლუივერტი მოძებნა და ჰოლანდიელმა ხარიხის ქვეშ კინაღამ ბადე გაგლიჯა.

„ბარსელონას“ გათანაბრების საშუალება მივეცით და ჩინებული საჩუქარი მივართვით — თქვა მერე კაპელომ — მეორე ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ და მოწინააღმდეგეს სერიოზული პრობლემები შევუქმენით, მაგრამ ერთმა უაზრო შეცდომამ ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა“.

კატალონიელთა მწვრთნელი კარლოს რექსაჩი: „ფრე ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ შინ ვთამაშობდით და რომ მოგვეგო, მეოთხედფინალის საგზური თითქმის ჯიბეში გვექნებოდა. ჩემიანებიდან კი განსაკუთრებით პუიოლს გამოვარჩევ. ეპიზოდი, როცა მან კანდელას ბურთი აართვა, კარგი მაგალითია იმისა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მოედნის ყოველ მონაკვეთზე ბრძოლას“.



ლივერპული — გალათასარაი. ასე არ შეიძლება: სტამბოლელმა ვიქტორიამ სტივენ ჯერარდს კინაღამ ფეხი მოტეხა

**ლივერპული 0:0 გალათასარაი**

ლივერპული: კირკლენდი, ხავიერი, ანშო, ჰიიპია, კარაგერი (ვმიცერი 67), რიისე, ჰამანი, ჯერარდი (მაკალისტერი 72), მერფი, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, ვიქტორია, პერესი, ერგუნი, ბიულენთ აქინი, ფლურკინი, გიოქთანი, უმით კარანი, ჰასან შაში (სოზქერენი 81; ნიკულესკუ 90)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ემრე ასიქი, ფლურკინი, უმით კარანი, ბიულენთ ქორქმაზი
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
41 605 მაყურებელი

**„მიუხედავად** იმისა, რომ ამდენი მომენტი დიდი ხანია აღარ გვქონია, ეს მატჩი არაფრით განსხვავდებოდა სხვა ევროპული თამაშებისგან. უბრალოდ, არ გაგვიმართლა, არადა, რამდენიმებურთიანი სხვაობით უნდა მოგვეგო. ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელების მიმართ დასაძრახს ვერაფერს ვიტყვი, დიდებულად ითამაშეს“ — ასე შეაფასა შეხვედრა ლივერპულელთა დროებითმა მწვრთნელმა ფილ ტომპსონმა.

ლივერპულელები მართლაც ბევრს უტევდნენ, ვერ გაიტანეს ჰიიპიამ, მერფიმ, ოუენმა, ჰესკიმ თავით ხარიხასაც მოარტყა ბურთი, ჰამანმა კი, რომელიც საუკეთესო იყო მინდორზე, სამჯერ დიდი ხიფათი შეუქმნა თურქთა კარს, მაგრამ გოლი არ გავიდა, თან ბოლოსკენ სტივენ ჯერარდიც დაუშავდათ, ურომლისოდაც „ლივერპულს“ თითქოს გული ეცლება ხოლმე.

თურქები კარს სათუთად უფრთხილდებოდნენ და თავისას მიაღწიეს კიდეც. ერთადერთი მართლაც მომენტი კი პირველ ტაიმში შექმნეს, როცა დაშავებული ირჟი დუდეკის ნაცვლად მოთამაშე დებიუტანტმა კრის კირკლენდმა უმითის დარტყმული ბურთი მოიგერია.

შედეგად, სამი ტურის მერე „ლივერპული“ ჯგუფში ბოლო ადგილზეა და მომავალ კვირას „გალათასარაისთან“ „ალი სამი იენზე“ სტუმრობაელის. თურქ და ინგლისელ ქომაგთა ურთიერთობის ამბავი კი მოგეხსენებათ. „არაფრის გვეშინია — დასძენს ტომპსონი — მათ კარგად იციან ჩვენი ამბავი, შარშან ხომ პრემიერლიგაშიც და უეფას თასზეც სტუმრად უკეთ ვთამაშობდით“.

სტამბოლელთა რუმინელმა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ კი ეს თქვა: „ჯერ იყო და „რომამ“ მსაჯის წამატებულ დროში გაგვითანაბრა, მერე „ბარსელონას“ 2:0 ვუგებდით და ისევ ფრეს გამოვრჩით. ამიტომ ამ ქულას ვიმსახურებდით. სხვა მხრივ, „ლივერპულის“ სტილი კარგად ვიცოდით და ზეწოლას მომზადებულნი შევხვდით“.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| რომა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ლივერპული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |



# კარგები ვართ?

## ტრაპატონი პასუხს იაპონურად იტყვის

**რამდენიმე** დღის წინ იაპონიის ქალაქ სენდაის ტელეჟურნალისტები ფლორენციასთან ახლოს, კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე „სკუადრა აძურას“ დამრიგებელ ჯოვანი ტრაპატონის ესტუმრნენ.

სენდაი ტოკიოდან ჩრდილოეთით, ორი საათის სავალშია და ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იტალიელები სწორედ იქ დაბანაკდებიან. ჟურნალისტმა ქალმა მაესტრო ტრაპს სთხოვა იაპონურად ეთქვა: ჩვენ იტალია ვართ, კარგი გუნდი გვყავს და გთხოვთ გვიქომაგოთო, რაზედაც ალელვებულმა მწვრთნელმა პროდიუსერს მიუგო: კარგები ვართ? ამაში ჯერ დარწმუნებული არ ვარ, ამიტომ ამ სიტყვებს ვერც იაპონურად და ვერც რომელიმე სხვა ენაზე გეტყვითო.

ჩემპიონატამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და ტრაპატონისაც სამუშაოს აბა, რა გამოულევს. 62 წლის სპეციალისტს გამოცდილება საკმარისზე მეტი აქვს, უკვე 29 წელიწადია მწვრთნელობს და უამრავი ჯილდოც მოუგია ჩემპიონთა თასის ჩათვლით, თუმცა ეს ყველაფერი საკლუბო დონეზე იყო, ეროვნული გუნდი კი სულ სხვაა, ამიტომ ტრაპი წინასწარ რაიმეს მტკიცებას და ენამჭევრობას ერიდება.

„2001 წელი ჩვენთვის კარგად დამთავრდა — აბობს ტრაპატონი — პირველი იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ, მეორეც, ჯგუფში ინგლისი, პორტუგალია ან დანია რომ არ შეგვხვდნენ.“

იტალიელები G ჯგუფში მოხვდნენ მექსიკასთან, ხორვატიასა და ეკვადორთან ერთად. პირველ მატჩს 3 ივნისს საპოროში ეკვადორთან ითამაშებენ, მეორეს რვაში ხორვატებთან იბარაკიში, ხოლო მესამეს ცამეტში მექსიკასთან ოიტაში.

„პირველი შეხვედრა ყველაზე რთული იქნება — აგრძელებს ტრაპატონი — იმიტომ, რომ ზუსტად არ გვეცოდინება როგორ გუნდს ვეთამაშებით, თანაც არ დაგავიწყდეთ, ეკვადორი დებიუტანტია და ამისდაკვალად გაორმაგებული შემართებით დაგვიპირისპირდება.“

მექსიკელებზე ტრაპი ამბობს, მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვთო, ხოლო ხორვატებისთვის ხოტბას არ იშურებს, ამათ ოთხი წლის წინ საფრანგეთში სიურპრიზი შემოგვთავაზეს, მერე რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ნაკრები დატოვა, მაგრამ კორეა-იაპონიის საგზური მაინც მოიპოვეს და იქაც მეტად საშიშები იქნებიანო.

იტალიელთა დამრიგებელს ჟურნალისტები ზოგადად ჩემპიონატზეც დაეკითხნენ, რაზედაც ტრაპმა უპასუხა, წარმატებას ის გუნდები მიაღწევენ, ვინც ენერგიას სხვებზე უკეთ გაანაწილებს და ტექნიკისა თუ მოხერხებულობის ხარჯზე გავა ფონს, რომელიმე აფრიკული ნაკრები კი ძალიან შორს წავა, რადგან კორეა-იაპონიაში ცხელი კლიმატია და აფრიკელები სიცხეებს ჩვეული ხალხიაო.

ისე როგორ იქნებოდა ორიოდ სიტყვა თავის გუნდზეც არ ეთქვა: „ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა“ — ასეთია ტრაპის დევიზი. დაცვაში მთავარი ხალხი კანავარო-ნესტა-მალდინი იქნებიან, შუა ხაზსა და შეტევაში ტოტი-დელ პიერო-ვიერი. თუმცა ახალი მოთამაშეების გამოჩენასაც უნდა ველოდოთ. ვთქვათ, „ატალანტას“ კრისტიანო დონიმ, „ინტერის“ კრისტიანო ძანეტიმ, „ტორინოს“ ანტონიო არტამ და „კიევოს“ მასიმო მარაცინამ გასულ კვირას ამერიკასთან ამხანაგურ მატჩში უკვე მოირგეს ცისფერი მაისურები, ასე რომ...

**სოლომონ გულისაშვილი**





# იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი ზალით,
დიდი სამზარეულოთი და
ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). ჯაბა


# კრანიოტი იდიოტი არ არის

## მიეცით დასტა და მიიღეთ ნესტა

**„ლაციოს“** პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი შიშობს, რომ მისი კლუბი ელიტარულის სახელს კარგავს და უსახურთა რიგებში ეწერება.

„კონკურენტებს 10 წლით რომ არ ჩამოვრჩეთ, ახალი სტრატეგია და ფული გვჭირდება“ - განუცხადა პრეზიდენტმა „კორიერე დელო სპორტს“.

მართლაც, „ლაციო“ სულ რაღაც ორი წლის წინ იტალიის ჩემპიონი გახლდათ, ამ სეზონში კი უკვე ერთი მწვრთნელი(დინო ძოფი) გაანთავისუფლა თანამდებობიდან და მეორეს(ალბერტო ძაკერონის) წყალი აქვს შეყენებული. სერია A-ს ცხრილში რომაელები მე-9 ადგილზე არიან, ლიდერს, „იუვენტუსს“ 17 ქულით ჩამორჩებიან, მეოთხე ადგილზე მყოფ „კიევოს“ რვით და ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად გვარიანი გარჯა დასჭირდებათ. რაც შეეხება ევროშეჯიბრებას, მას რა ხანია გამოეთიშნენ.

„იმისთვის, რომ „მილანის“, „ინტერის“, „იუვენტუსის“ და „რეალის“ დონის გუნდებს გავუწიოთ კონკურენცია, საჭიროა ვიშოვოთ ძლიერი პარტნიორი, თორემ ჩამოთვლილნი ყოველწლიურად მილიონებს ხარჯავენ და დამოუკიდებლად მათთვის ფეხის აბმა გაგვიჭირდება - განაგრძობს კრანიოტი - საჭიროა ახალი სტადიონის აგებაც. „ოლიმპიკო“ ის მონუმენტია, ყოველწლიურად მილიონები რომ ჯდება. იგი მუზეუმად უნდა გარდაიქმნას. სარბიელი ისე უნდა ავაშენოთ ხელახლა, როგორც ინგლისელები „უემბლის“ აშენებენ:



სერჯო კრანიოტი

სხვათა შორის მიმდინარე სეზონის წარუმატებლობათა გამო ქომაგებმა კრიტიკის ქარცეცხლი თავად კრანიოტისაც დაატეხეს თავს, მაგრამ პრეზიდენტი ამბობს, რომ ჯერჯერობით კლუბისთვის თავის დანებებას არ აპირებს და მეტიც - ხალხს გალმა ელავება - თუ ვინმე კარგად გადამიხდის ალესანდრო ნესტას და ერნან კრესპოსაც გავყიდიო.

„ყველაფერი ჩემპიონატის ბოლო ფაზაზეა დამოკიდებული - ბრძანებს მილიონერი - დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნესტა, და კრესპო უნდა დარჩნენ გუნდში, მაგრამ სატრანსფერო თანხები ისე იზრდება, რომ ამ ორი ფეხბურთელის გაყიდვით, არ არის გამორიცხული მთელი ბიზნესი დავატრიალო. მართალია, „ლაციომ“ ბევრი ჯილდო მოიგო, მაგრამ ჩვენ ახალი ეპოქა გვჭირდება, ახალი მსახიობების მონაწილეობით. ხოლო, ვთქვათ, ნესტას თუ წასვლა უნდა, მას მხოლოდ და მხოლოდ უცხოურ გუნდს მივყიდით. რაც შემეხება მე, ახლა რომ განვაცხადო, კლუბიდან არასდროს წავალო, თუმცა ჯერ წასვლას არ ვაპირებ.“

**ბაკუნა ძედია**

# პიტბული კი არა, ოტელო ყოფილხარ

## ედგარ, არ ველოდი შენგან

**ამსტერდამში** ცხოვრობს ერთი, ალბათ, ლამაზი (ყოველ შემთხვევაში, ედგარ დავიდსზე), 23 წლის ცქვიტი გოგონა. გასულა დილით სახლიდან და პროკურატურისთვის მიუკითხავს. მოუთხოვია (ან თვითონ ჰქონდა) კალამი, ფურცელი და დაუწყია წერა. დაწყნარდი, დამშვიდდი და ისე დაწერეო, ეტყოდნენ პროკურატურაში. გოგონამ ცრემლი შეიშრო და საჩივარიც გამოაცხო. მისი შინაარსი ასეთია — 1998 წლის აქეთ თურმე მეგობარი ბიჭი ძალიან აწუხებს. ეს გულისხმობს ფიზიკურ შეურაცხყოფას, ანუ ცემას, წვალებას და ასე შემდეგ ბოლო შეხვედრისას, კი თურმე ნუ იტყვი, კინაღამ დეზდემონასავით დაუხრჩვია. ბუნებრივია, დაგაინტერესათ მაღლა ფრჩხილებში ჩასმული ედგარ დავიდსი რატომ „ელვარებს“. კი, არ შემცდარხართ, „ოტელო“ (არშემდგარი) გახლავთ ტურინის „იუვენტუსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების თმაქანქარა ფეხბურთელი ედგარ დავიდსი. საერთოდ, დავიდსს მინდორზე მეტოქე ფეხბურთელების ბოლომდე დევნა და მათი მოხრჩობა შესანიშნავად გამოსდის. აი, ცხოვრებაში კი ეს ილეთი, ეტყობა, გაუცნობიერებლად გადაიტანა. ედგარის ცოდვა გამხელილი სჯობს და ამსტერდამელი ქალბატონი ორი წლის პატარა ბიჭსაც ზრდის, რომლის მამაც, დიახ, „ოტელო“ გახლავთ.

ძველი, მტვერდაყრილი საქმეებიდან, სურინამული წარმოშობის ვაჟკაცს კიდევ ერთი ამბავიც გავუხსენოთ. ერთხელ მილანში ჩასულს ავტოსადგომზე იქაურებთან შეხლა-შემოხლა მოსვლია. მილანელები ჩივილს აპირებდნენ, მაგრამ „იუვეს“ მესვეურებმა „ცოცხით“ მიმოფანტეს ეს ინციდენტი და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მარჩელო ლიპის უთქვამს, მეგობარ ქალთან ურთიერთობა პირადად დავიდსის პრობლემაა და მე ვერანაირად ჩავერევიო.

თუ პროკურატურამ კარგად მიმოაფათურა ხელი საჩივრის გამო, ხოლო ფაქტები დამტკიცდება, ეჭვმიტანილს რვაწლიანი პატიმრობის ნათელი პერსპექტივა ელის.



ედგარ დავიდსი

**ვაჟა ხუციშვილი**

# მილანი ივსება, ანჩელოტი იღიმება



ფილიპო ინძაგი

**იტალიური** „მილანის“ ლაზარეთს ორი ფეხბურთელი მოაკლდა — კაპიტანმა პაოლო მალდინიმ და თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ ვარჯიში განაახლეს. მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე იტალიის ნაკრების რეკორდსმენი მცველი სრული დატვირთვით შეუდგა წვრთნას, ინძაგის კი ინდივიდუალური გრაფიკი შეუდგინეს, თან აიმედებენ, მოედანს სამ კვირაში დაუბრუნდებიო.

შეგახსენებთ, რომ მალდინი დეკემბერში, „ატალანტასთან“ საგარეო მატჩისას დაშავდა, ინძაგის კი, „კიევოსთან“ მატჩის მერე მარცხენა მუხლზე ოპერაცია დასჭირდა.

ცხადია, მილანელოში წამყვანი ფეხბურთელების გამოჯანმრთელება უხარიათ და, ვინძლო კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულმა კარლო ანჩელოტიმაც, ამათი დაბრუნებით შვებით ამოისუნთქოს.

„მილანის“ ლაზარეთში კი ახლა ოთხი პაციენტი დარჩა — მასიმო ამბროზინი, თომას ჰელვეგი, ფერნანდო რედონდო და ყმაწვილი ნიგერიელი მოჰამედ ალიუ.

**გიორგი ვაჩაძიძე**

# ტექნორეალი

## უინტერნეტოდ ცხოვრება ძნელია რად გინდათ გაზეთი, თუ გაქვთ მობილური



ამ სეზონში „რეალის" მაისურაზე რეკლამის ნაცვლად კლუბის საინტერნეტო მისამართი გაჩნდა

**ახალი** ტექნოლოგიები 90-იან წლებში ბევრმა აქცია ფულის კეთების ახალ წყაროდ, მადრიდული „სამეფო კლუბი" კი მხოლოდ ახლა დგამს ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯებს; ინტერნეტის მიმართ 90-იანებში „რეალი" საკმაო გულგრილობას იჩენდა. მადრიდელებმა თავიანთი ოფიციალური ვებ-გვერდი მხოლოდ 2000 წლის მაისში შექმნეს. სხვათა შორის, უფრო გვიან ვიდრე „ბარსამ", „მანჩესტერმა" და ბევრმა სხვა ევროგრანდმა.

ამ მოკლე ხანში მადრიდული სუპერკლუბის უფროსობა მიხვდა, რომ ფეხბურთელების ტრანსფერებსა და ხელფასებში გადახდილი თანხის ამოღება „რეალის" საკლუბო მაღაზიების, ტელეკონტრაქტების ან აბონემენტების გარდა ინტერნეტითაც შეიძლება. „ჩვენი გულშემატკივრები, რომელთა რაოდენობაც მსოფლიოში 70-80 მილიონია, „რეალის" მომხმარებლებად უნდა ვაქციოთ. მადრიდში სულ 5 მილიონი კაცი ცხოვრობს, კიდევ ერთი ამდენი ტურისტი ჩამოდის, რომელთაგან ბევრი ჩვენს მაღაზიებში, ცხადია, არ შევა. საქმეც ისაა, რომ ჩვენი საქონელი ყველასთვის გაცილებით ხელმისაწვდომი გავხადოთ" — ამბობს „რეალის" ახალი ტექნოლოგიების განყოფილების დირექტორი მიგელ ანხელ ერნანდესი.

მისი აზრით, ინტერნეტმაღაზიას, რომელიც რეალელებმა სექტემბერში შექმნეს, უდიდესი მოგების მოტანა შეუძლია: „სექტემბერში 14 000 ევროს საქონელი გავყიდეთ და ეს ყოველგვარი რეკლამის გარეშე. უბრალოდ, გვინდოდა გვენახა, როგორ გამოგვივიდოდა. ამან გაამართლა, დეკემბერში უკვე 72 000 ევრო მოვიგეთ".

ჩემპიონთა თასის რვაგზის მფლობელთა ბიზნესგეგმაში ინტერნეტი და ახალი ტექნოლოგიები უკვე მყარად ჩაჯდა, თუმც ცხადია, პრობლემები ჯერაც არის. მაგალითად, თუ „რეალის" ოფიციალურ ვებ-გვერდის ინგლისური და იაპონური ვერსიებიც აქვს, ინტერნეტმაღაზია მხოლოდ ესპანურენოვანია. ასე რომ, ევროპის კონტინენტზე საკუთრივ ესპანეთის გარდა შეკვეთების მიღება პრაქტიკულად ჯერ არ ხერხდება.

სამაგიეროდ, ძალიან დიდი ბაზარია ოკეანის გაღმა. ერნანდესის თქმით, შემოსავლის 75 პროცენტი მექსიკიდან და აშშ-დან მოდის. „ესეც ამტკიცებს, რომ ჩვენ მარტო ესპანურ ბაზარს არ ვჯერდებით და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისებას ვცდილობთ" — ამბობს ახალი ტექნოლოგიების განყოფილების ბოსი.

მაღაზიაში „რეალის" საკლუბო ატრიბუტიკის ანუ მაისურების, დროშებისა და სხვათა გაყიდვის გარდა ერნანდესი ინფორმაციის გაყიდვაზეც ფიქრობს. რატომაც არა, ინტერნეტის განვითარება-დახვეწასთან ერთად, დროთა განმავლობაში „რეალის" ტექნოლოგიურმა განყოფილებამ, შესაძლოა, მადრიდული გაზეთებიც გვარიანად შეავიწროოს. „ჩვენ სხვადასხვა გზებით ვაწვდით ხალხს ინფორმაციას. დავიწყეთ მობილურ ტელეფონებზე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. ამ შეტყობინებების შინაარსი და რაოდენობა თავად მომხმარებლის გადასაწყვეტია. არც ის დაივიწყოთ, რომ შეტყობინებათა ფასი 0.15 ევროა, ესე იგი, გაცილებით იაფი, ვიდრე გაზეთები.

რა შეიძლება იყოს შეტყობინებაში? მაგალითად, ინფორმაცია ზიდანის ტრავმის შესახებ. შეგვიძლია მატჩის ანგარიშის, სხვადასხვა ტექნიკური ინფორმაციის, ასევე ფეხბურთელთა ინტერვიუების მიწოდება. ცხადია, ყოველივე ამის ნახვა გაზეთებშიც შეიძლება, მაგრამ ფასი?" — ეშმაკურად კითხულობს ერნანდესი.

ფასი და დანახარჯების ამოღება კი ახლა მეტად აქტუალური საკითხია. ფეხბურთელების ფასები ასტრონომიულ რიცხვებს ეთამაშება. თავად „რეალმა", მოგეხსენებათ, ფიგუ-ზიდანში 110 მილიონზე მეტი გადაიხადა.

წინა კვირაში, ბარსელონაში შეკრებილი G 14-ის კლუბები ამაზეც მსჯელობდნენ. კითხვა ერთია, უზარმაზარი დანახარჯები საბოლოო ჯამში ხომ არ გამოიწვევს კლუბთა გაკოტრებას? პასუხი კვლავაც ახალ ტექნოლოგიებზეა. აქ კი ისევ მიგელ ანხელ ერნანდესთან ვართ ალავერდს: „ბოლო წელიწად-წელიწადნახევარში ინტერნეტის მეშვეობით ბევრს მივაღწიეთ, შეუძლებელია, უცბად მილიარდები იშოვო, ჩვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით მიზანს. სხვათა შორის, ბარსელონაში შეკრებილი G 14-ელები ინტერნეტით მატჩების ტრანსლაციის შესახებაც მსჯელობდნენ."

ერნანდესის აზრით, ინტერნეტით მატჩების ჩვენებას ჯერ საკმაო სირთულეები ახლავს თან: „ინტერნეტით პირდაპირი ტრანსლაცია შემოსავლიანია, მაგრამ საქმე ისაა, რომ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც ფეხბურთი და კალათბურთია, ბევრი მოძრაობაა, ამის ინტერნეტით სრულყოფილად გადაცემა კი არ ხერხდება".

საბოლოოდ ერთის თქმა შეიძლება, „სამეფო კლუბმა" ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტის გემო გაიგო. გაიგო და ახალი ბიზნეს-სტრატეგიის შექმნასაც მიჰყო ხელი. ეს სტრატეგია კი ფანებისგან კიდევ უფრო მეტი ფულის ამოღებას გულისხმობს.

**სერგი ძორიძე**



ფრანკ სოზე

## ჩვენი „კოშკასი" არ იყოს, სოზესაც დაუცაცხანეს

**უიღბლო** გამოდგა სამწვრთნელო კარიერის დასაწყისი ფრანგი ფრანკ სოზესთვის. 1993 წლის ჩემპიონთა ლიგის მომგები სოზე შარშან დეკემბერში შოტლანდიური „ჰიბერნიანის" თავკაცად დანიშნეს, თუმც სქოთთა სამსახურში დიდხანს ვერ გაძლო და გუშინ დაითხოვეს.

— ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც სწორად მოვიქეცით. ფრანკი უნდა წასულიყო. ეს კლუბისთვის აუცილებელი იყო — განაცხადა „ჰიბერნიანის" წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ ფრანკ სოზე ედინბურგელებმა მას შემდეგ მიიწვიეს, რაც ალექს მაკლიშმა გლაზგოს „რეინჯერსში" გადასვლა არჩია. ეს კი, თავის მხრივ, „ჩაფართა" თავკაც დიკ ადვოკაატის ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ გამოიწვია.

**ბასკო:** როჯერსი (24), ტუჯანი (4), თორთლაძე (13), ბეჟანიშვილი (18), საყვარელიძე (3), არხიპოვი (8), მ. მარკოიშვილი (2), ბერძენიშვილი (6), ორმოცაძე (2), დილანი (4)

**დინამო:** ბ. ბერიშვილი (2), მაისურაძე (8), აკოლაშვილი, ტურაშვილი (3), ნაცვლიშვილი (6), ა. ქლენტი (17), ოგანესიანი (5), ნინიაშვილი, ჯაფარიძე (11), ჩუბინიძე (6), წოწელია (3), რ. ჩხეიძე

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

„ბასკო“ რომ შინიდან გახარებულს არავის უშვებს, ცნობილი ამბავია. ბათუმელებმა არც გუშინ უღალატეს ჩვეულებას, ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის ბოლო მატჩში დამაჯერებლად სძლიეს ფავორიტად მონათლულ „დინამოს“.

დებიუტი უშელავათო ბრძოლას გვპირდებოდა. თბილისელებმა იბეჯითეს, ოგანესიანის ფარქვეშიდან ნასროლით და ბერიშვილის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოებით ოთხი ქულითაც დაწინაურდნენ. თუმც ლევან მოსეშვილის გუნდზე პირველი შთაბეჭდილება მალევე წაგვიხდა. „ბასკომ“ გამოწვევა მიიღო. პაველ გოოგემ შეგირდებს სწრაფ პირველ შეტევებზე გააკეთებინა აქცენტი, ამ დროს „დინამოს“ დაცვამ საოცრად მოისუსტა და გადამწვეტიც ეს გამოდგა. ტუჯანის, როჯერსის, ბერძენიშვილის და განსაკუთრებით ბეჟანიშვილის აქტიური და შედეგიანი თამაშის წყალობით „ბასკომ“ პირველი მეოთხედი 15 ქულით მოიგო.

ასეთივე უპირატესობას მიაღწიეს მასპინძლებმა მეორე ათწუთეულში. „დინამომ“ ამჯერადაც ვერაფერი გააწყო მეტოქესთან, საუკეთესო ამ მონაკვეთში უდავოდ თორთლაძე გახლდათ. დათო 12 ქულით შეეწია თავის გუნდს, ამასთან დაცვაშიც შეუდარებელი იყო. ბევრს, ძალიან ბევრს სცოდავდნენ სტუმრები, საკუთარ ფარქვეშ ბრძოლას აგებდნენ. გადაცემებშიც ცდებოდნენ, არც სროლები გამოსდიოდათ და ამის ლოგიკური შედეგი: დიდი შესვენებისთვის „ბასკოს“ უპირატესობა 30-ქულიანი იყო. ეს კი, ფაქტობრივად, საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა.

მესამე მეოთხედში სტუმრებმა ნერვები მოთოკეს, მოინდომეს და რამდენჯერმე 18 ქულამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, ოღონდ, ისიც ნათელი გახლდათ, მეტოქე მათ მეტით არ ახეირებდა, მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა ხუთი პერსონალურის გამო არჩილ ქლენტს მოუწია თამაშიდან გასვლა. მის გარეშე „დინამოს“ შედარებით დალაგებული თამაში ისევ აირია, თანაც როჯერსი შეიქნა შეუჩერებელი, ამერიკელის ნასროლმა ზედიზედ ოთხჯერ უწია მიზანს და...

ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. „ბასკომ“ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ამ ეტაპზე კონკურენციის გარეშეა და არც ჩემპიონობას დაანებებს ვინმეს.

მოგეხსენებათ, ოთხი დღის წინ ბათუმურ გუნდში კიდევ ერთი შავკანიანი ამერიკელი გამოჩნდა — 27 წლის ნიკ დილანი, რომელსაც აქამდე მოკრძალებულ, ფრანგულ, ხორვატიულ და ებრაულ გუნდებში უთამაშია. დილანის დებიუტი „ბასკოში“ გუშინ შედგა. ამერიკელმა დაახლოებით 20 წუთი დაჰყო მოედანზე და შეიძლება ითქვას, ურიგოდ არ გარჯილა, თუმც მის ოსტატობას უკეთესად, ალბათ, მომავალში შევაფასებთ.

## მატჩის შემდეგ

***ლევან მოსეშვილი,*** *„დინამოს“ მწვრთნელი:* ვფიქრობ, ანგარიში არ შეეფერება გუნდების რეალურ ძალას, უკეთესად თამაში შეგვეძლო, ბიჭები ზედმეტად ნერვიულობდნენ და სროლები არ გამოსდიოდათ, ტანმაღლები ვერ გამოვიყენეთ ჯეროვნად. მსაჯობით უკმაყოფილო ვარ, თუმც შეცდომებით ორივე მხარე ზარალდებოდა. მარცხის მიუხედავად, ოპტიმიზმს არ ვკარგავთ, მთავარი ბრძოლები ხომ წინა გვაქვს.

***პაველ გოოგე,*** *„ბასკოს“ მწვრთნელი:* კარგია, რომ „დინამოს“ ამბიციები გაუჩნდა, ძველი დიდების დაბრუნებაზე ფიქრობს. რაც მეტი ძლიერი გუნდი ითამაშებს ჩემპიონატში, დონეც ამაღლდება. მატჩის შედეგი კი ლოგიკურად მიმაჩნია. ჩვენ კარგა ხანს ვეძებდით ძლიერ თავდამსხმელს და ვფიქრობ, დილანი დაგვეხმარება. ჭკვიანი მოთამაშეა, მე მისი იმედი მაქვს.



ბასკოელმა დავით თორთლაძემ ირაკლი ჯაფარიძეც გააწვალა და მთელი „დინამოც“

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




დეტროიტის იუგოსლაველი ზელკო რებრაჩა პროფესიულ ლიგას პირველივე სეზონში გაუშინაურდა

# რაღა ხმალი და რაღა სკამი: თუ მოკლეა, ბრძოლაში გიჭირს

20 თებერვალი

**მაიამი 71:81 კლიპერსი**

**მაიამი:** ჯონსი (11), სტრიკლენდი (19), გრანტი (2), გილი (6), მურნინგი (17), ჯეკსონი (9), ელისი (3), ჰაუსი (4), სტეფანია (4 წუთი, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**კლიპერსი:** რიჩარდსონი (25 ქულა, 11 მოხსნა), ჯემისონი (14 ქულა, 10 მოხსნა), მაკინისი (14), პიატკოვსკი, მაგეტი (4), ოლოვოკანდი (11), მაილსი (2), რუკსი (11), დულინგი (3)

მაიამიმ წააგო. ადრე ეს ფრაზა ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც, ვთქვათ, „გათენდა“, მაგრამ პატ რაილიმ კარგი თამაშის საწყისები ააწყო და მზიური ფლორიდის გუნდი საფუძვლიანად გამოდის კრიზისიდან. ღონიერი გუნდების გამწარების შემდეგ „მაიამი“ შინ დახვდა ლოს ანჯელესის უსახელო კლუბს, რომელსაც წლების მანძილზე მარადიული მაჩანჩალას თიკუნი ჰქონდა და წლეულს კი საშუალო გუნდობაზე აცხადებს პრეტენზიას, ანუ იბრძვის პლეი ოფისთვის.

მაგრამ „მაიამის“ თითქოს მაინც უნდა მოეგო. ანგელოზთა ქალაქელებს აკლდათ ლიდერი ელტონ ბრენდი (თითის მყესი გაიწყვიტა) და მისი ნაცვლობა სათადარიგო კვენტინ რიჩარდსონმა იკისრა, თან ისე მარჯვედ, რომ ნახევარი საქმე მარტომ გააკეთა.

თამაში მასპინძელთა დომინირებით დაიწყო. ცენტრების დუელში ალონზო მურნინგი კომფორტულად ჯაბნიდა მაიკლ ოლოვოკანდის და პირველი მეოთხედი „ჰითმა“ 25:19 მოიგო, ოღონდ ამ ალმაფრენამ მე-2 თორმეტწუთეულის მხოლოდ სტარტზე გასტანა, როცა მაიამელები 8 ქულითაც დაწინაურდნენ, მერე კი უეცრად ნეკრისის ქარი ჩაუდგათ და კალათში ბურთის ჩაგდება დაავიწყდათ, ამ დროს კი რიჩარდსონის არტილერია სრული ძალით ამოქმედდა და სტუმრებმა ერთ მონაკვეთში 12 უპასუხო ქულა ჩააგდეს. თამაშის ნახევარი მაიამელთა 7-ქულიანი ჩამორჩენით გასრულდა და ვერც მერე გაისწორეს, ატლანტისპირელებმა მიზანი, მათი ყოველი სამი ტყორცნიდან მარტო ერთი იყო შედეგიანი.

თამაშს დენთის სუნი მხოლოდ ერთ მომენტში აუვიდა, როცა მურნინგის აქტივობამ მაიამელთა დეფიციტი 2 ქულამდე ჩამოიყვანა, მაგრამ ეს იყო და ეს. ვლადიმერ სტეფანიას რაილი 4 წუთით ენდო და ქართველმა თამაშში ადაპტაციაც ვერ მოასწრო.

როდ სტრიკლენდისა და ზო მურნინგის დიდი გარჯა საბოლოოდ უქმი გამოდგა, „კლიპერსმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვა, „ჰითმა“ კი სეზონში თითქმის ყველაზე მწირქულიანი მატჩი ჩაატარა: ამაზე ცოტა მხოლოდ ერთხელ დაუგროვდა.

რაილის დანა პირს არ უხსნიდა. „ტყორცნათა სიზუსტით გვაჯობეს და ყველაფერი ამან გადაწყვიტა“ — თქვა პატ მასწმა, ხოლო ჰაროლდ ჯემისონი, ვინც 1999-2000 წლების სეზონი სწორედ „მაიამიში“ გაატარა და გუშინ კი ყოფილ გუნდს 14 ქულა ჩაუგდო, უფრო ფილოსოფიურად გახლდათ განწყობილი. „მაიამიში“ ყოფნა მომწონდა და გუნდის მწვრთნელებსაც დიდად ვაფასებდი — თქვა მან — მაგრამ რა ვქნა, ასეთია ეს ცხოვრება...“

**ფილადელფია 114:107 გოლდენ სტეიტი**

**ფილადელფია:** აივერსონი (46), ჰარპრინგი (25)

**გოლდენ სტეიტი:** ფორტსონი (18), ჯემისონი (16)

**დეტროიტი 97:90 ვაშინგტონი**

**დეტროიტი:** უილიამსონი (22), უოლესი (14 ქულა, 15 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (22), ჰ. დევისი (17)

**ტორონტო 77:78 შარლოტი**

**ტორონტო:** ა. დევისი (29 ქულა, 14 მოხსნა), პეტერსონი (17)

**შარლოტი:** კემპბელი (18), ბ. დევისი (17)

**დენვერი 99:110 იუტა**

**დენვერი:** ჯონსონი (19), ლაფრენც (17 ქულა, 11 მოხსნა)

**იუტა:** კირილენკო (21), მელოუნი (19)

**მილუოკი 115:76 ჰიუსტონი**

**მილუოკი:** რობინსონი (21), რედდი (29)

**ჰიუსტონი:** ტომასი (21)

**სიეტლი 84:90 პორტლენდი**

**სიეტლი:** ლუისი (24), პეიტონი (15)

**პორტლენდი:** უოლესი (18)

**ჩიკაგო 113:109 ნიუ იორკი**

**ჩიკაგო:** როუზი (36), კარი (16)

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (36), სპრიუელი (30), ტომასი (18 ქულა, 11 მოხსნა)

ალენ აივერსონს 40 ქულაზე მეტი არაერთხელ დაუგროვებია. იყო დრო, ხალხს ეს აოცებდა, მაგრამ პატარა გენიოსმა ამ საქმეს თანდათან უხშირა და ჩვეულებრივ მოვლენად აქცია. გუშინ „ფილადელფია“ „გოლდენ სტეიტს“ მასპინძლობდა და „უნიონ სენტერში“ შეკრებილ 20 ათას გულშემატკივარს აივერსონის 46 ქულაზე მეტად ის გაუკვირდა, ფილადელფიელებს ერთი დავიდარაბა რომ დასჭირდათ დასავლეთის მაჩანჩალათაგანის დასამარცხებლად.

ფილადელფიელთა მწვრთნელმა ლერი ბრაუნმა სუსტების გაჭირვებით ძლევა მოკლე სკამს დააბრალა: „დიდებული მატჩი მოვიგეთ. სამი მოთამაშე გვაკლდა, ორიც ტრავმირებული თამაშობდა და რომ გავიმარჯვეთ, მიღწევაა“. თამაშში გარდატეხა დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მოხდა. „ვორიორზი“ ბობ სურას სამქულიანით მასპინძლებს ორი ქულით მიუახლოვდა, მაგრამ მომდევნო სამ წუთში დიკემბე მუტომბომ ძველი დროება გაიხსენა, „მეომრებს“ თავის ფართან კედლად აღუდგა და აივერსონმაც ფილადელფიის თავზე შეყრილი სირცხვილის ღრუბლები მიმოფანტა.

მაიკლ ჯორდანმა დაბადების დღის შემდეგ შინ ნებივრობა გაიხანგრძლივა და მტკივან მუხლს მიხედა. მისი თანაგუნდელ-მოწაფეები კი დეტროიტში ჩავიდნენ და თავი არ შეირცხვინეს. ცხრილში „პისტონსი“ დედაქალაქელებს კარგა მაღლიდან გადმოჰყურებს და კალათბურთის ცოცხალი ლეგენდის არყოფნასაც თუ გავითვალისწინებთ, მატჩის შედეგის გამოცნობა იოლი იყო. მასპინძლებსაც აკლდათ გუნდის მეორე მექულე კლიფ რობინსონი, თუმც ყოფილმა „ჯადოქარმა“ ბენ უოლესმა ბოლო მეოთხედში ექსთანაგუნდელები საჯარიმო ხაზიდან დააწიოკა და ლიდერის არყოფნაში გალაღებულ რიჩარდ ჰამილტონის 22 ქულას ეშხი დაუკარგა. ისე, სატრაბახო კი ექნებათ ვაშინგტონელებს, უჯორდანოდ დეტროიტში 7 ქულა წავაგეთო.

წაუგებლად სვლას აგრძელებს „იუტა“. „ჯაზმენები“, რაც შინ ზამთრის ოლიმპიადა დაეწყოთ, გარე-გარე დადიან. კლივლენდის შემდეგ მომდევნო გაჩერება დენვერი იყო. მზცოვნებს თანდათან მხარს უბამს ანდრეი კირილენკო. პირტიტველა რუსმა იმდენი გაბედა, „იუტას“ უბერებელი სიმბოლო კარლ მელოუნი შედეგიანობაში დაჩაგრა და შესაბამისად იუტელთა პირველი მექულე შეიქნა. „ნაგეტსის“ რექვიემი „ჯაზმენებმა“ ბოლო მეოთხედამდე დაუკრეს — 80:65.

„შარლოტი“ ლიდერის დაბრუნებამ ფერზე მოიყვანა. „კრაზანებმა“ ჯამალ მაშბურნით „მილუოკის“ შემდეგ უვინსკარტერო ტორონტოელები დაანალვლიანეს. თამაშის ბედი ბოლო წამებზე მაშბურნმა გადაწყვიტა, „შარლოტის“ ჩაგდებული ბოლო 5 ქულა მისი იყო.

**ირაკლი ბერტაია**

# ქარახანუმი ყირმიზხათუნებს გაუდედოფლდა
# კურნიკოვა: ბაი, ბაი, დუბაი


AP დუბაიდან
ვინუს უილიამსმა პირველჩოგნობა შეიფერა

**როტერდამი. ჰარდი**
**საპრიზო 713 ათასი $**

**ნიკოლას ესკუდე (საფრანგეთი) — ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) 5:7, 6:1, 6:0; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 1:6, 6:3, 6:2; არნო კლემანი (საფრანგეთი) — გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი) 6:3, 7:6 (7:4); როჯერ ფედერერი (7, შვეიცარია) — ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:2, 6:3; მაქს მირნი (ბელარუსი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2**

ნიკოლა ესკუდე შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულია, შარშანდელი ჩემპიონთა რბოლის მეხუთეადგილოსანი ხუან კარლოს ფერერო კი როტერდამიდან შარშანაც პირველივე წრიდან დაითხოვეს. პირველმა წლეულს უკვე მარსელის პირველობის ფინალისტობა მოასწრო, მეორეს კი ღირსსაცნობი ჯერ არაფერი გაუკეთებია და ვერც მაგარ საფარზე მომაგრებულა. ალბათ, ყოველივე ამის გამოც იყო, ესკუდეს წინააღმდეგ 22 წლის მუჩაჩომა და მსოფლიოს მესამე ჩოგნის მქნეველმა მხოლოდ პირველ სეტში რომ იმულრავა. აქ იგი 2:5 აგებდა, როცა მეტოქეს ხაზიდან ხაზამდე თამაში მოახვია და ზედიზედ 5 გეიმი წაართვა. აი, ამის შემდეგ კი მან ერთ შეცდომას სხვა მრავალიც მიაყოლა, ზედ პირველი ჩაწოდებაც გაიმრუდა და სუსტ მეორე ჩაწოდებაზე ჩასაფრებულ ფრანგსაც თავი ბლომ-ბლომად დააყუმბარებინა.

თუმცა ფერეროს წაფორხილებაზე მეტად საჩოგბურთო მილეთი ჩეხი ულირახის მიერ ქვისმხეთქ ფორმაში მყოფი რუსის, მარატ საფინის ძლევამ გააკვირვა. 27 წლის ჩეხმა, ვინაც რანგით 39-ე ჩოგანს აქნევს, თავად მძლავრად მოეისე საფინს მისი წილი კორტი დამმეხავი ჩაწოდებებით მოუოხრა.

არნო კლემანმა ციებიანი გრეგ რუზეცკის დაურვებას ოღენ ორი სეტი მოანდომა, ოღონდ მეორეში საქმე მაინც სეტისზედამდე (რაიც ჩვენებურად ეგებ ტაიბრეიკის შესატყვისად გამოდგებოდეს) მიაყვანინა. თამაშის მსვლელობისას კუნძულელმა 14-15-ჯერ ისეთ გადამწყვეტ მომენტში დააცილა, რომ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

მეშვიდე ნომრად განთესილმა როჯერ ფედერერმა, შარშანდელი ტურნირის ფინალისტმა, როტერტამელ ქომაგებს მათი უკანასკნელი ფალავანიც გაუნაპირა. სხვათა შორის, მეორე წრეს არც ერთი მასპინძელი არ შერჩენილიყო, ეგეთი მურდალი რამ 1984 წლის შემდეგ აღარ მომხდარა!

**დუბაი. ჰარდი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:2, 7:6 (7:3); მონიკა სელეში (2, აშშ) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:2, 6:3; ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:3, 6:2; ტამარინე ტანასუგარნი (6, ტაილანდი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:3; ანხელეს მონტოლიო (7, ესპანეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; ანასტასია მისკინა (რუსეთი) — ელენა კოშტანეცი (ხორვატია) 6:3, 6:2; ტინა პისნიკი (სლოვენია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:5, 6:4**

ოტროველა ვინუს უილიამსი იქითა კვირიდან ქალთა კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე უნდა შედგეს. აშშ-ისა და უიმბლდონის ორ-ორგზის ამქოთებელი აშარი ამით მეათე ქალი შეიქნება, რომელიც ოდესმე მღედრთა სიაში გაპირველებულა. ამ თავისთავადაც საინტერესოსა და დაწვრილებით მოსათხრობ ამბავს ჩვენ სწორედ მომავალ კვირაში შევეხებით. მანამდე კი ვენერა მხურვალე არაბისტანში დაჯირითობს და, თუკი ან მზემ არ დაჰკრა, ანაც სელეში-მორესმოს არანკლებ ზორბა წყვილმა არ უყელა, გადედოფლებას ვინძლო ბოლო ხანებში მოპოვებული მესამე (პარიზისა და ანტვერპენის შემდეგ) ტიტულით შეეგებოს.

ტიტულის ძიება ანტვერპენის დარად მან აქაც ანა კურნიკოვას ძლევით დაიწყო. მატჩს ძლიერი ზენაქარი ახლდა, ვინუსის ფიქრებიც უფრო რეიტინგს დატრიალებდა, ვიდრე მხურვალე საფარს, ფიცხლავ მოძრავი რუსი სექსგოგო კი ჟამიდანჟამ ისეთ ხელწაღმებს ახათქუნებდა, თავის დროზე ზეპურ ათეულში ბოგინობისას რომ იცოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც ჩვეულებრივად და ნავარაუდევად დასრულდა. კვლავაც ხელყოფილმა ანამ ვინუსისგან განკურნება სამომავლოდ გადადო, საიმღროოდ, როცა უფრო სტაბილურად თამაში შეეძლება.

სხვაფრივ, სელეში და მორესმო მართლაც ლონივრად ირჯებიან და, ვენერა მომავალ ორშაბათზე ფიქრს თუ არ შეეშვა, მაგრად გაუჭირდება. ისე კი, დუბაიში დოჰადან გამარჯვებით ჩასულმა მონიკამ თანამემამულეს გაპირველება მიულოცა, სხვა თუ არაფერი, საკუთარი გამოცდილებით ხომ მაინც ვიცი, ეგ რა ტკბილი და მურაბა რამეაო.

**მემფისი. ჰარდი**
**ვაჟები. საპრიზო 725 ათასი $**

**ტომი ჰაასი (1, გერმანია) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 5:7, 6:4; ენდი როდიკი (2, აშშ) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:2, 6:3; რაინერ შუტლერი (5, გერმანია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 7:6 (7:4); დავიდე სანგვინეტი (7, იტალია) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 6:2; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — კრისტოფ როში (ბელგია) 6:2, 6:3**

**ქალები. საპრიზო 170 ათასი $**

**ლიზა რეიმონდი (2, აშშ) — სოფია გუბაში (უნგრეთი) 6:1, 6:1; ალექსანდრა სტივენსონი (4, აშშ) — ჩო იუნ-ძუნი (სამხრეთ კორეა) 6:2, 4:6, 6:3; ადრიანა სერა ძანეტი (5, იტალია) — ერიკა დე ლონი (აშშ) 6:7 (3:7), 6:3, 6:4**

გერმანელ ტომი ჰაასს მემფისში სამი წლის წინაც უმარჯვია. ალბათ, ამიტომაც იყო, აყლაყუდა ჩეხ იან ვაცეკთან შედარებით კორტზე უფრო ბატონკაცურად რომ ირჯებოდა. მის უპირატესობას ჩრდილი მხოლოდ მეორე სეტში მიადგა, როცა მსაჯმა 5:6 -ზე სადღაც ხაზთან დაცემული ბურთი აცილებულად ჩაუთვალა და ხელი წააგებინა. თუმცა მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩაბრუნდა.

ორი იოლი სეტი და სულ 57 წუთი დასჭირდა ამერიკელ ტალანტ ენდი როდიკს, რათა კოპენჰაგენის ამასწინანდელი გამარჯვებულის, გერმანელი ლარს ბიურგსმიულერისათვის საქმის ვითარება გაერკვია.

დიდი პრობლემები არც წლეულს მილანსა და ვროცლავში ნახეირებ დავიდე სანგვინეტის შექმნია.

**ბუენოს აირესი. თიხნარი**
**საპრიზო 625 ათასი $**

**მეორე წრე**

**ხუან ჩელა (არგენტინ ) — ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) 6:3, 0:6, 7:6 (7:1); ნიკოლას მასუ (ჩილე) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:4, 6:3; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3, 1:6, 7:6 (7:5); ფრანკო სკილარი (არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:1, 3:1 (მარტინიმ შეწყვიტა)**

პირველ-მეორე ნომრებად განთესილ გუსტავო კუერტენსა და გილერმო კანასს მესამე ნომრად განთესილი ნიკოლას ლაპენტიც მიაყოლეს. ამ საქმის გაკეთება გაუჩო ჩელამ იკისრა. ეკვადორელს ნამატჩევს დაუჩივლია, მესამედ თუ განმთესეს, ყოველდღე რას მათამაშებდნენო. მოკლედ, დამღალესო, რა.

**ლევან ძელაურაძე**



# რას დაიჭერს ალინა კაბაევა დოპინგპონგში?
## ერთი თავდამსხმელი მან უკვე დაიჭირა


ალინა კაბაევა

**მხატვრულად** ტანმოვარჯიშე აწ უკვე ექს-მსოფლიოს ჩემპიონი, პირმშვენიერი რუსი ალინა კაბაევა და მისი თანამემამულე ირინა ჩაშინა ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. თანაც კაბაევას ის ოქროც მედალიც ჩამოერთმევა, მადრიდში გამართულ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ დაჰკიდეს.

ეს ამბავი გუშინ გაცხადდა ლოზანაში, სადაც დოპინგთან ბრძოლის კომიტეტი ბინადრობს. კაბაევას და ჩაშინას ეჭვიანმა მედოპინგეებმა შარშან ბრისბენში, კეთილი ნების თამაშებზე მოაშარდვინეს. პირველმა ტესტმა აკრძალული პრეპარატის ფუროსემიდის კვალი აღმოაჩინა. განმეორებითმაც იგივე დაადასტურა და საქმე დოპინგ-ტრიბუნალს გადაეცა. ფუროსემიდი ის პრეპარატია, რომელიც წონაში უცებ დაკლებას და თან დოპინგის კვალის წაშლას უწყობს ხელს. კაბაევა კი ირწმუნება, დოპინგი აზრადაც არ მომსვლია, ალბათ, საკვებში შეერია რამე. რაც მოხდა, ეტყობა, უნებლიე შეცდომაა და სხვა არაფერიო.

ამასვე იმეორებს ირინა ჩაშინაც. რუს ტანმოვარჯიშეებს ახლა თავიანთი ქვეყნის ტანვარჯიშის ფედერაციის იმედი აქვთ, რომელიც აპელაციის შეტანას და თავისი ქვეშევრდომების გამართლებას აპირებს. უშველის თუ არა რუს სპორტსმენებს ხელახალი განხილვა, ეს მალე გაირკვევა. ისე კი, სასხვათაშორისოდ, მთელი რუსეთი იმაზე ჭორაობს, რაც კაბაევა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნათურასავით უცებ ანთებულ ვარსკვლავ მარატ იზმაილოვს გადაეყარა, სპორტს ძველებურად ვეღარ ერთგულებსო.

**ბაჩო სვანიძე**



# რუსები დამ განირა

**ქალთა** სახელბურთო ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურმა კიდევ ოთხი მეოთხედფინალისტის ვინაობა დაასახელა. ერთი კვირის წინ ვადამდე ადგილგანაღდებულ „ფერობუსს“ ნორვეგიის ჩემპონი „ლარვიკი“, იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტი“, მიმდინარე გათამაშების აღმოჩენა მაკედონიური „კომეტალი“ და ევროპის თასთა თასის მფლობელი უკრაინული „მოტორი“ შეუერთდნენ. დასკვნითი მატჩის მოგების შემთხვევაში რუმინული „ზალაუ“ უკრაინელებს შეიძლება წამოეწიოს კიდეც, მაგრამ ერთმანეთში შეხვედრებით წინ მაინც „მოტორი“ აღმოჩნდება.

მსოფლიოს ჩემპიონ რუსთა საშინაო ჩემპიონ ვოლგოგრადელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი ნატალია დერეპასკომ გადაუწურა — სლოვენიელთა უკრაინელი ლეგიონერის ცხრა ტყორცნა მიზანს მოხვდა. „აკვადან“ საუკეთესომ, მსოფლიოს ჩემპიონმა ელენა ჩაუსოვამ 13 გოლი კი მიითვალა, მაგრამ ამით თავისიანებს ვერაფერი უშველა.

მომდევნო ეტაპზე გამსვლელთა სამეულს კვირას შევიტყობთ.

**ჩემპიონთა ლიგა. ქალები**

**ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური**

A ჯგუფი: ლარვიკი (ნორვეგია) — ზალაუ (რუმინეთი) 31:27; მოტორი (უკრაინა) — ბეზანსონი (საფრანგეთი) 27:24

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლარვიკი | 3 | 1 | 1 | 133:128 | 7 |
| მოტორი | 3 | 0 | 2 | 121:114 | 6 |
| ზალაუ | 1 | 2 | 2 | 126:135 | 4 |
| ბეზანსონი | 1 | 1 | 3 | 126:129 | 3 |

B ჯგუფი: მილარი (ესპანეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 28:31; დუნაფერი (უნგრეთი) — გოგ გუდმე (დანია) 25:20

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბუდუჩნოსტი | 4 | 0 | 1 | 151:131 | 8 |
| დუნაფერი | 3 | 0 | 2 | 120:117 | 6 |
| მილარი | 2 | 0 | 3 | 137:146 | 4 |
| გოგ გუდმე | 1 | 0 | 4 | 122:136 | 2 |

C ჯგუფი: ვიბორგი (დანია) — ფერობუსი (ესპანეთი) 34:24; ჰიპო (ავსტრია) — ჰერცი (უნგრეთი) 33:32

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფერობუსი | 3 | 1 | 1 | 137:137 | 7 |
| ჰერცი | 2 | 1 | 2 | 149:146 | 5 |
| ვიბორგი | 2 | 0 | 3 | 140:150 | 4 |
| ჰიპო | 2 | 0 | 3 | 143:136 | 4 |

D ჯგუფი: კრიმი (სლოვენია) — აკვა (რუსეთი) 22:21; მონტექსი (პოლონეთი) — კომეტალი (მაკედონია) 21:38

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კომეტალი | 3 | 1 | 1 | 138:121 | 7 |
| კრიმი | 3 | 0 | 2 | 124:124 | 6 |
| მონტექსი | 2 | 0 | 3 | 133:141 | 4 |
| აკვა | 1 | 1 | 3 | 115:124 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიათლონი

# უწოდეთ ოლიმპიადას ოლეამპიადა!

## ბიორნდალენი, კაციც და სპორტსმენიც, ამას იმსახურებს

**ვაჟები**

4X7,5 კმ ესტაფეტა

„ჯარისკაცის ქვაბულს“ წესით „ბიორნდალენის ქვაბული“ უნდა დაერქვას. ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელი დღეისთვის ალბათ ასახავს ამერიკის ჯარსა და ინდიელთა ტომებს შორის მძიმე ბრძოლების რომელიმე ფრაგმენტს, მაგრამ მსოფლიოს თვალში დღეიდან ქვაბული უფრო იმით გაითქვამს სახელს, რომ ერთმა პიროვნებამ იქ ბიათლონის ისტორიის მთელი თავი დაწერა.

გუშინდელი ესტაფეტის შემდეგ „ნორვეგიელი ბიათლონისტი ოლე ეინარ ბიორნდალენი სუპერმენთა საზოგადოებად წოდებულ ზეპურ კლუბში მოხვდა, რომლის წევრები კარლ ლუისი, ერიკ ჰეიდენი და მარკ სპიცი არიან“ — გადმოსცა სააგენტო „როიტერმა“. ეს ის ხალხია, ვინც ადრეულ ოლიმპიადებზე არც ერთი მეტოქე ერთხელაც არ გააჩარეს, სადაც გამოვიდნენ, ყველგან გაიმარჯვეს და იგივე ითქმის ბიორნდალენზე: ოლიმპიადის ვაჟთა ბიათლონი სრულებით მას დარჩა.

სამი ინდივიდუალური გამარჯვების შემდეგ ბიორნდალენი და სამი ვიკინგი 4X7,5 კილომეტრიან ესტაფეტაზე გავიდნენ, სადაც უპირობო ფავორიტებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ ღრუბლიანსა და თოვლიან ამინდში ყველაზე უკეთ ისრიალეს, აგრეთვე დამაკმაყოფილებლად ისროლეს და პირველობაც ირგუნეს. ბიორნდალენის ჯერი ბოლოს მოვიდა, უნდა ითქვას, რომ სხვა ნორვეგიელებს უკვე შეესრულებინათ ძირითადი საქმე, ამიტომ ოლემ მხოლოდ მიღწეულის შენარჩუნებაზე იზრუნა და ბლომად ქომაგის ყიჟინის და დროშების ფრიალის თანხლებით საზეიმოდ გადაჭრა ფინიშის ხაზი. იქ იგი მხრებზე შეისვეს, აძუნძულეს და ჩააცივდნენ, ოლიმპიადის გმირი ხარო. რეაქცია უარყოფითი იყო.

„მე ასე არ ვფიქრობ — თქვა თავმდაბალმა — და პრინციპში, არც ისტორიაზე ვფიქრობ“.

პათეტიკური ეპილოგი: ვინ იცის, რა დაკარგა თხილამურობამ ბიორნდალენის დაკარგვით (ადრე მოთხილამურე იყო), ბიათლონმა კი შეიძინა...

**დავით გულუა**

| | |
|---|---|
| 1 | ნორვეგია 1.41,96 |
| 2 | გერმანია 1.42,01 |
| 3 | საფრანგეთი 1.42,15 |




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

## შენ ხარ გმირი!

მე არ ვარ გმირი, მე არ ვფიქრობ ისტორიაზე

ისტორია იფიქრებს შენზე!

ციგურაობა



ანი ფრიზინგერი: ოლიმპიური ჩემპიონი, რეკორდსმენი და კოხტა გოგო

# ფრიზინგერი კისრულობს

## ანი ჯიგარი გოგოა. ჩემს სექსუალურ უკანალს გეფიცებით. ლუდის ზღვაში დაგახრჩობთო

**ქალები**

1500 მეტრი

**ანი ფრიზინგერმა,** ვისაც სპორტის ოქროს გოგოს უწოდებენ და თამამი ფრაზები უყვარს (მაგალითად: „მოციგურავის უკანალზე სექსუალური არაფერია“), მძიმე სტარტის შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე კუთვნილი, ანუ ოქროს მედალი მოიპოვა.

ფრიზინგერმა მე-4 ადგილი დაიკავა 3000 მეტრზე სრიალში და იტირა, მე-5 იყო კილომეტრიან სპრინტში და დიდი კმაყოფილება მაშინაც არ უგრძვნია. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს დამსახურებული პირველობა ერგო მხოლოდ გუშინდელ 1500-ზე, რომელიც მე-17 წყვილში გაირბინა და მსოფლიოს რეკორდით დაასრულა. წინა მიღწევაც მისი იყო, კალგარიში დაამყარა შარშანდელ მარტს და ცხადი ხდება, რომ პირველ რიგში გერმანიის და მერე მსოფლიოს ციგურაობას გუნდა ნიმან შტირნემანის საბოლოო შემცვლელი გამოუჩნდა. შტირნემანმა შარშან თქვა, ფეხმძიმე ვარო და გადადგომა გამოაცხადა. ღირს, ფრიზინგერის მოკლე დოსიე მოგაწოდოთ:

დაიბადა 25 წლის წინ ბად რეიხენჰალში, მშობლებიც მოციგურავეები ჰყავდა, მამა გარდაეცვალა და მისი ხსოვნისთვის მუცელზე ფართო ტატუს ატარებს. ნაგანოში 3000 მეტრის ბრინჯაოს მედალი აიღო და 1500-ზე ჩემპიონი გახდა. 6 წლის წინ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონიც იყო.

ფრიზინგერი გამარჯვების ხმაურით აღნიშვნას გეგმავს. ჩემს ქალაქში სამდღიან წვეულებას მოვაწყობ და ყველა სტუმარს ლუდით გავჭყიპავო, განაცხადა. ქალაქს ინზელი ჰქვია, პატარაა და რახან ბავარიაშია, სტუმრებს ლუდი უნდა მოეწონოთ.

**დავით გულუა**

| | |
|---|---|
| 1 | ანი ფრიზინგერი (გერმანია) 1.54,02 |
| 2 | საბინე ფოელკერი (გერმანია) 1.54,97 |
| 3 | ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) 1.55,32 |

სამთო თხილამურობა

# ოჯახში გაზრდილი გოგო შინ ყველას მედალს ჩაუტანს

## ჩემი კარგი დედიკო, ჩემი კარგი მამიკო, ჩემი კარგი ძამიკო

**ქალები**

სლალომი

**იანიცა კოსტელიჩის** ფრჩხილებს მაგიური პოპულარობა ემატება. ოლიმპიადის დაწყებისას წაისვა ლაქი და თითო ფრჩხილზე თითო ასოდ „ივიცა“ (ძმის სახელი) რომ დაიწერა, კომბინაციის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამას მოჰყვა „დედა“ ხორვატიულად — იანიცამ სუპერგიგანტი მოიგო და გუშინ „დედა“ „მამამ“ რომ შეცვალა, კოსტელიჩს სლალომის ოქროს ჩამოჰკიდეს კისერზე. ფუი ეშმაკს და ჯვარი აქაურობას, მაგრამ მომხდარი ფაქტია.

სლალომი დიერ ველიში (ირმის დაბლობი ქართულად) შედგა ქღმურტლიანი ამინდის თანხლებით. თოვლი რომ თვალს უჭრელებდათ, ცნობილი იტალიელი კარენ პუტცერი, ქართველი სოფო ახმეტელი და კიდევ ათამდე ისე რა განთქმული მოთხილამურე პირველივე სრიალზე ასცდნენ ჭიშკრებს და შეჯიბრს გამოეთიშნენ. კოსტელიჩს კი არაფერი შეშლია. თუნდაც 80 პროცენტით მზადყოფნისას (თავად ასე ამბობს) სლალომი მისი საფირმო საქმეა. ჩვენ გვახსოვს მსოფლიოს თასის ეტაპები, სადაც კოსტელიჩი უწყვეტად იდგა პოდიუმებზე. მოვლენათა ლოგიკა არც ამჯერად დაირღვა.

გასაკვირია, მაგრამ სოლტ ლეიკ სიტიში დამსახურებული ჯილდოებიდან კოსტელიჩი ყველაზე მეტად ვერცხლის მედალს აფასებს. „ის პირველი იყო და ვღელავდი, ხოლო შემდეგ წავიდა და წავიდა, შიშის ნასახიც არ მქონია“.

ახლოვდება გიგანტური სლალომი და კოსტელიჩმა აღარ იცის, რა ქნას: ოჯახის წევრთა სახელები ამოწურა, თავის სახელს არ სწყალობს, აქეთ არ მწყალობსო, ნახევარდის (ჰრვოიკა ჰქვია) წაწერა შესთავაზეს და, ცალ ხელზე არ მეტევაო. ბოლოს და ბოლოს (თუ ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე ვიტყვით), გიგანტური სლალომიც არაა ის სახეობა, სადაც იანიცა ერთადერთია. შეხედული სონია ნეფი გაიხსენეთ და სხვებიც...

**დავით გულუა**

| | |
|---|---|
| 1 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1.46,10 |
| 2 | ლაურა პეკენიო (საფრანგეთი) 1.46,17 |
| 3 | ანია პაერსონი (შვედეთი) 1.47,09 |



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

აფსუს, რომ იანიცა კოსტელიჩს მეტი და-ძმა არა ჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# სიუჟეტი ცუდი სიზმრისთვის

## ბელარუსეთი NHL-ის წინააღმდეგ

**შვედეთი 3:4 ბელარუსი 1:2 1:0 1:2**
**1:0 ლიდსტრიომი (4), 1:1 რომანოვი (8), 1:2 დუდიკი (10), 2:2 ნიულანდერი (31), 2:3 კოვალიოვი (43), 3:3 სუნდინი (48), 3:4 კოპატი (58)**

ეს ეპიზოდი მეკარე ტომი სალოს კოშმარულ სიზმრებად ექცევა. ვიკინგთა მრავალნაცადი მეკარე ახლა თავადაც ვერ ახსნის, რატომ ახტა და აწია ხელი შაიბის მოსაგერიებლად. ვლადიმირ კოპატის მოედნის შუიდან გასროლილის გოლად ქცევა წარმოუდგენელი იყო: შაიბა ძალიან მაღლა მიქროდა და ადვილი შესაძლებელი იყო, ბორტს იქით გადაფრენილიყო. მაგრამ სალომ რატომღაც მისი გაჩერება სცადა, ახტა და ხელთათმანისგან ასხლეტილი რეზინის დისკი ვერაგულად შევარდა კარში... მატჩის 58-ე წუთი მიმდინარეობდა, აქამდე ანგარიში საყაიმო იყო, ამის შემდეგ კი შვედებმა ველარაფერი გაახერხეს. რატომ მიიყვანეს მათ საქმე აქამდე, როგორ მოხდა, რომ მატჩის მიწურულს შვედების ბედი ჯერ არ გადაწყვეტილიყო? ვფიქრობ, ფავორიტთა საქმე მაშინ წახდა, როდესაც ორკაციან უმრავლესობაში მათს სუნდინმა წესი დაარღვია, მეტოქის ზონაში შაიბის ჩაგდების შემდეგ კი ოლეგ რომანოვის დარტყმამ სალო გააოგნა. ასე გათანაბრდა ანგარიში ამ თამაშში, რომელიც თავიდან შვედების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მართალია, ისინი კვლავ ფლობდნენ ინიციატივას, ბევრს უტევდნენ, მაგრამ ამას მექანიკურად აკეთებდნენ. მიქაელ ნიულანდერს და ბელარუსთა ერთ-ერთ შეცდომას უნდა უმადლოდნენ, კიდევ ორი გოლის გატანა რომ შეძლეს, თორემ უარესად გათახსირდებოდნენ.

**ჩეხეთი 0:1 რუსეთი 0:0 0:1 0:0**
**0:1 აფინოგენოვი (25)**

ამ მატჩში რუსების მოგებას არავინ გამორიცხავდა, მაგრამ როგორ მოახერხეს ეს პაველ ბურემ და კომპანიამ, ესაა მთავარი. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. ეს გახლდათ რუსთა ყველაზე ჩეხური, ხოლო ჩეხთა ყველაზე რუსული ჰოკეი. თუ კაცი თავიდანვე არ ადევნებდა მატჩს თვალყურს, გუნდები აუცილებლად შეეშლებოდა, იმდენად მოულოდნელი იყო თითოეული მათგანის თამაშის ყაიდა. 60 წუთის განმავლობაში ჩეხები ოდესღაც დაუღლელი საბჭოთა მანქანის მსგავსად ასკდებოდნენ რუსთა კარის მისადგომებს. რუსები კი მეტოქისთვის ჩვეულად ჩასაფრდნენ დაცვაში და მის შეცდომებს ელოდნენ. რუსებს განსაკუთრებით პირველ პერიოდში გაუჭირდათ. საწყის წუთებში ჩეხებმა არაერთი მწვავე შეტევა განახორციელეს, ხოლო მესამედის დასასრულს რამდენჯერმე რიცხვმრავალნიც იყვნენ. ერთხელ ორკაციანი უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ რუსებმა თავგანწირვით დაიცვეს თავი. ნიკოლაი ხაბიბულინის თამაში ცალკე თემაა. იმ საღამოს „ბულინის კედელმა“ ყველა შაიბა აიღო — ასაღებიც და აუღებელიც. არავინ იცის, როგორ მოახერხა ვიაჩესლავ ფეტისოვმა, ასე განეწყო შეგირდები, მაგრამ ფაქტია: პაველ ბურემ, რომელიც დაცვას ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ალექსეი იაშინმა და მათმა პარტნიორებმა არ უღალატეს არჩეულ ტაქტიკას და მიაღწიეს კიდეც მიზანს — გამოიჭირეს მეტოქე. სიტუაციაში, რომელიც თითქოს ცუდს არაფერს უქადდა ჩეხებს, მაქსიმ აფინოგენოვმა ჰაერშივე ისე მოულოდნელად დაჰკრა შაიბას, რომ დომინიკ ჰაშეკმა განძრევაც ვერ მოასწრო. ეს გოლი პირველიც აღმოჩნდა და უკანასკნელიც, არადა, ანგარიში უნდა შეცვლილიყო: ჰაშეკთან პირისპირ გასულმა ალექსეი კოვალიოვმა ძელს გაარტყა, ჩეხებს კი რამდენიმე მომენტი კვლავ ხაბიბულინმა გააცუდებინა. რობერტ ლანგის ორი მეტრიდან გასროლილი როგორ მოიგერია, ალბათ, თავადაც არ იცის. აი, ასეთი რევანში გამოვიდა: ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონი ჩეხები ნაგანოსავე ვიცეჩემპიონმა რუსებმა გვერდზე გაწიეს.

**აშშ 5:0 გერმანია 1:0 4:0 0:0**
**1:0 რენიკი (14), 2:0 ჩელიოსი (21), 3:0 ამონტე (30), 4:0 ლეკლერი (31), 5:0 პალი (32)**

ისეთი ამბები მოხდა, ამ შეხვედრაში ველარავინ გამორიცხავდა სიურპრიზს. ამიტომაც ამერიკელებმა ფხიზლად დაიწყეს თამაში და პირველ პერიოდში არცთუ ბევრი მომენტი ჰქონდათ. მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე მესამედი, მასპინძლებს ბედმა გაუღიმათ, როცა კრის ჩელიოსის დარტყმის შემდეგ შაიბა ერთ-ერთი გერმანელის ფეხმა აისხლიტა და კარში შევარდა. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბელარუსის სასწაული აღარ განმეორდებოდა. ამერიკელებმაც უკვე თამამად შეუტიეს და შუა პერიოდის ორი წუთის განმავლობაში ყველაფერი გადაწყვიტეს.

**კანადა 2:1 ფინეთი 1:0 1:1 0:0**
**1:0 საკიკი (3), 2:0 აიზერმანი (36), 2:1 პაგმანი (37)**

ვერც ჰოკეის მომგონებისგან ველირსეთ გახსნილ და შემტევ თამაშს. მატჩის მნიშვნელობამ აქაც იჩინა თავი, მით უმეტეს, რომ პირველ ეტაპზე არადამაჯერებელი ასპარეზობის შემდეგ კანადელებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ მატჩამდე კანადელთა გენერალურმა მენეჯერმა უეინ გრეცკიმ მისთვის უჩვეულო, მკაცრი განცხადება გააკეთა, რომლის არსიც ასეთი იყო: მთელ მსოფლიოს სურს, კანადა დამარცხდეს. ყველას, განსაკუთრებით აშშ-ში, ერთი სული აქვს, როგორმე დასცინოს ჰოკეის სამშობლოს ნაკრებს.

კანადელებს ველარავინ გაამასხარავებს და დიადი უეინიც სირცხვილისგან აღარ გაწითლდება შეგირდების გამო. მართალია, ყველაზე ვარსკვლავურმა გუნდმა გუშინ ჩვეულად ვერ ითამაშა, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა: მთავარი იყო მწვრთნელთა ჩანაფიქრის ბეჯითად შესრულება. ერთადერთი სასაყვედურო შეიძლება იყოს ის, რომ თავიანთი ორი შაიბის შემდეგ მეტოქის ერთადერთი საპასუხო ძალიან მალე გაუშვეს. ანგარიში მეორე შესვენებამდე რომ შეენარჩუნებინათ, ამდენი სანერვიულო აღარ იქნებოდა. ბოლო მესამედში ფინელებმა ძალიან ენერგიულად შეუტიეს. განსაკუთრებით ტეემუ სელიანე აქტიურობდა, ჩვეული ოსტატობის გარდა იგი ძალისმიერი ილეთებითაც გამოირჩა, მატჩის ბოლოს კი ლამის ჩხუბიც ატეხა. კანადელებმა გაუძლეს ზეწოლას, თანაც ეს ძალიან კორექტულად გააკეთეს, მხოლოდ ერთხელ მოუწიათ უმცირესობაში თამაშმა. მარიო ლემიეზეც არ ვთქვათ, არ იქნება. „სუპერმარიომ“, რომელსაც ზოგიერთმა კომენტატორმა ძველი ტრაქტორი უწოდა, სტივ აიზერმანს ისეთი პასი გადააწოდა, გატანაზე ძნელი აცილება იყო.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ტომი სალოს წამებამდე წამებიდა დარჩა: სწორედ მის ამ შეცდომას მოჰყვა შვედთა კატასტროფა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ოლიმპიადას ჩეხთა ნაკრები ფორვარდი იაროსლავ იაგრიც დაემშვიდობა

ნახევარფინალი

**კანადა — ბელარუსი**

**აშშ — რუსეთი**

## წუხელ

### კერლინგი

ქალები

მატჩი მესამე ადგილისთვის

**კანადა 9:5 აშშ**

ფინალი

**ბრიტანეთი 4:3 შვეიცარია**

### თხილამურობა

ქალები 4+5 კმ ესტაფეტა

1. გერმანია 49.30,6
2. ნორვეგია 49.31,9
3. შვეიცარია 50.03,6

### სამთო თხილამურობა

ვაჟები გიგანტური სლალომი

1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2.23,28
2. ბოდე მილერი (აშშ) 2.24,16
3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 2.24,32



შტეფან ებერჰარტერი

### ჰოკეი

ქალები

მატჩი მესამე ადგილისთვის

**შვედეთი 2:1 ფინეთი**

# გერმანელებს ოქრო-ვერცხლი სკივრით მიაქვთ

**ოლიმპიადის** დახურვამდე ორი დღე დარჩა და საბოლოო შედეგებსაც, ცხადია, მაშინ შევაჯამებთ, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ახლავე რომ დავითვალოთ, ამით აბა, რა დაშავდება. მით უმეტეს, საერთო მონაგარის ამბავში ერთი რეკორდი უკვე დამყარდა.

ჯერ ის ვთქვათ, რომ ოლიმპიადის მასპინძელმა ამერიკელებმა როგორც იქნა, გაუსწრეს რუსებს მოხვეჭილი ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაოს რაოდენობით. როგორც იქნა, რადგან 1956 წლიდან საბჭოელებს, მერე კი რუსებს, მუდამ უფრო მეტი ზამთრის ოლიმპიური პრიზიორი ჰყავდათ. და რა ხდებოდა 56 წლამდე? იქამდე საბჭოთა კავშირი უბრალოდ არ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში და მედლებს ვინ მისცემდა. ახლა კი ამერიკელებს ცხრა ოქრო, მთლიანობაში კი ოცდაშვიდი მედალი დაუგროვებიათ, რაც ბევრად სჭარბობს რუსებისას — ხუთი ოქრო, სულ კი ცამეტი მედალი. ვინძლო, ამგვარი თანაფარდობა აღარც შეიცვალოს.

საბჭოელები, თუ რუსები სულ რვაჯერ ყოფილან საუკეთესონი მოგებული მედლების რაოდენობით, მაგრამ სოლტ ლეიკ სიტიში ფავორიტები აღარ არიან. ნორვეგია, გერმანია, აშშ — ეს ოლიმპიადა ამათია.

ნორვეგია, სოლტ ლეიკ სიტიში ყველაზე მოოქროვილი ქვეყანა, ექვსჯერ მოქცევია სათავეში საბოლოო ცხრილს, თუმცა 1968 წლის მერე გუნდურ ჩათვლაში ერთხელაც ველარ უმარჯვია. თუკი ისინი აქამდე მოსვეჭილ ათ ოქროს შვიდსაც მიუმატებენ, პირველები შეიქნებიან, ვინც ას ზამთრის ოლიმპიურ ოქროს დაეუფლება.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ნორვეგიამ უკვე ათი ოქროს მედალი ჩამოიგდო

მაგრამ ვერცხლ-ბრინჯაოსაც თუ დავუმატებთ, გერმანელებს ბადალი არ ჰყავთ და თავში ნახსენები რეკორდიც მათ ეკუთვნით. 1988 წელს, კალგარიში საბჭოთა კავშირმა 29 მედალი მოიგო და ძველი რეკორდიც ესაა. ოთხი წლის წინ ნაგანოში 29-მედლიანი რეკორდი გერმანელებმა გაიმეორეს. ახლა კი ინებეთ — 32 გერმანული მედალი და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ ოლიმპიადა ჯერ არ დამთავრებულა.

ისე, კაცმა რომ თქვას, გერმანელთა წარმატება რა გასაკვირია, მაგრამ ავსტრალიას რომ ორი ოქრო აქვს, როგორია?!

ხოლო იმედგაცრუებაზე თუ ვილაპარაკებთ, ავსტრიელებს უნდა მივადგეთ. სამთო თხილამურების ფავორიტთათვის ოდენ ორი ოქრო ნაღდად სამარცხვინოა.

**კოტე კიკელია**

### ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 15 | 7 | 32 |
| აშშ | 9 | 10 | 8 | 27 |
| ნორვეგია | 10 | 7 | 3 | 20 |
| ავსტრია | 2 | 4 | 9 | 15 |
| რუსეთი | 5 | 5 | 3 | 13 |
| კანადა | 2 | 1 | 7 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 4 | 2 | 9 |
| იტალია | 3 | 2 | 4 | 9 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 4 | 9 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 0 | 5 |
| ჩინეთი | 1 | 2 | 2 | 5 |
| შვედეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 3 |
| კორეა | 2 | 1 | 0 | 3 |
| ბულგარეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |




REUTERS რიო დე ჟანეირო

# სულ ქალები

ვოლვოს გარსაქვეყნო ნაოსნობის მამაცმა ზღვაოსნებმა რიო დე ჟანეიროს ნავსადგურშიაც ჩაუშვეს ღუზა. რიოს გაჩერება მეოთხეა, სულ კი ნაოსნები ცხრა ნავსადგურს მიადგებიან ჯამური 32 700 მილის გაცურვისას. ამ ფოტოზე ფინური იახტა „ამერ სპორტს ტოო“-ს ეკიპაჟია აღწერილი. რვანივ ქალები გახლავან. აქ დაისვენებენ და მაიამისკენ გაცურავენ.

# მილოცვა

ეს რა მილოცვები და ხვევნა-კოცნები შემოვიდა სოლტ ლეიკ სიტიში. ფრანგ ბიათლონისტს რაფაელ პუარეს მისივე ცოლი, ასევე ბიათლონისტი, ოღონდ ნორვეგიელი ლივ გრეტე ესტაფეტაში მოგებულ ბრინჯაოს მედალს ულოცავს. ეროტიკას რომ შევეშვათ, ყინავს, კაცო.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტი

# მისები მასებთან

ეჰ, ერთ დროს ჩიკაგოში დიდი კალათბურთის გუნდი ჰყავდათ, ახლანდელი „ბულზი“ კი სულ აგებს და აგებს. ერთგული მაყურებელი იშვიათად თუ გახალისდება და ეგებ რამ მოედანზე კი არა, ტრიბუნებზე ეძებოს. ახლაც ასეა, „ბულზი“ „ნიქსს“ მასპინძლობს, თამაშზე კი „მის ამერიკის“ შეჯიბრის მონაწილენი, ნიუიორკელი კარლა კავალი და ილინოისელი ამანდა რეინალდსი ამღერებულან. “მის ამერიკის“ დასკვნითი შეჯიბრი აქავე გაიმართება პირველ მარტს.





# ვარსკვლავსაც დაკითხავენ

ნიუ იორკის წმინდა გიორგის მართლმადიდებლური ეკლესიიდან ასვენებენ მძღოლ კოსტას კრისტოფის სასახლეს. რამდენიმე დღის წინათ მოკლული კრისტოფი, ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავის, ჯეისონ უილიამსის პირადი მძღოლი იყო და გაურკვეველ ვითარებაში დაცხრილეს. გამოძიება უილიამსთანაც აპირებს გასაუბრებას.

# სამხრეთული ოქრო

მოციგურავე სტივენ ბრედბერი პირველი ავსტრალიელია, ზამთრის ოლიმპიადის ოქროს მედალი რომ მოიგო და სიდნეიშიც არ დაახანეს, მისი სახელობის საფოსტო მარკა უკვე გამზადებულია. სოლტ ლეიკ სიტიში მეორე ავსტრალიელმაც მიიღო ოქროს მედალი, თანაც ქალმა — მოფრისტაილე ალისა კემპლინმა.




REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge